# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 36 სამშაბათი, 16 თებერვალი 1910 წ. № 36

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე; მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


## ცირკულიარი „ინოროდცების“ შესახებ

„რეჩისა“ და რუსეთის სხვა გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნია გუბერნატორებისთვის:

„1906 წელს 4 მარტს უმაღლესად დამტკიცებულ საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ დროებით კანონის გამოქვეყნების შემდეგ, რუსეთში მცხოვრებ სხვა და სხვა ერთა შორის თავი იჩინა განსაკუთრებულმა კულტურულ-განმანათლებელმა მოძრაობამ. ამ მოძრაობას აზრადა აქვს ვიწრო ეროვნულ ნაციონალურ-პოლიტიკურ თვითშეგნების გამოღვიძება. ამისთვის აარსებენ სხვა და სხვა სახელწოდების საზოგადოებებს, რომელსაც დანიშნულებაც ეროვნული შეკავშირება-შეერთებაა ეროვნულ ინტერესების მისაღწევად. რაკი ამ საზოგადოებებს ასეთი მიზანი აქვთ, ისინი, უეჭველია, ეროვნულ განცალკევებასა და შუღლის განვითარებას ემსახურებიან, ამიტომ მათი არსებობა საზოგადოებრივ მყუდროებისათვის საშიშია. ეს განმარტა უმართებელესმა სენატმა თავის დადგენილებით (სენატის განმარტება 1908 წ. 19 ივნის, № 9,120 უკრაინთა საზოგადოების „პროსვიატა“-ს შესახებ; 1909 წ. 4 სექტემბრის დადგენილება, № 8397, პოლონეთის საზოგადოების „ოსვიატა“-ს შესახებ და სხვ.)

„ამის გამო, 1906 წ. 4 მარტის კანონის მე-6 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ასეთი საზოგადოებათა დაარსება ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია და მოვალედ ვთვლი ჩემ თავს მოვაგონო თქვენს აღმატებულებას, რომ „ინოროდცების“ და მათ შორის უკრაინელთა და ებრაელთა, ამ საზოგადოების დაარსების შესახებ შუამდგომლობის განხილვის დროს, კავშირთა და საზოგადოებათა ადგილობრივმა საკრებულომ უნდა გამოიძიოს, საზოგადოებას ხომ არა აქვს ზემოდ დასახელებული მიზანი და თუ დარწმუნდება, რომ მართლა ამ მიზნისათვის არის დაარსებული, დაუყონებლივ უარი უნდა უთხრას ასეთ საზოგადოების წესდების დამტკიცებაზე, სწორედ ისე, როგორც განმარტებული აქვს უმართებელეს სენატს.

„ამასთან ერთად დაწვრილებით უნდა გაიცნოთ უკვე „ინოროდცების“ არსებულ საზოგადოებათა მოღვაწეობა და თუ საჭიროდ დაინახავთ, აღძრათ შუამდგომლობა ამ საზოგადოების დახურვის შესახებ“.

## საქართველოს ეგზარხოსის დეპეშა

იმერეთის სამღვდელოების კრებამ, როგორც „კავკ.“ გადმოგვცემს, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს ახალ ეგზარხოსს ინოკენტის. დეპეშაზე ხელი უწერია კრების თავმჯდომარეს დეკანოზ სიმონ ჴელიძეს:

„იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა მე-51 კრება მოვალედა სთვლის თავის თავს, სალამი გიძღვნათ, თქვენო მეუფებავ, მრავალ ტანჯულ ივერიის სამწყსოში მობრძანებისა გამო. თქვენი დაპირებანი, ნამდვილ ქრისტიანის გრძნობით გამსჭვალულნი და განურჩევლად ყველასადმი მიმართულნი, მეტად გვახარებს და ვიმედოვნებთ, რომ თქვენი უწმიდესობა დაეხმარება უძველეს ივერიის ეკლესიის კანონიერ მისწრაფების მიღწევას, იმ ეკლესიისა, რომელიც ბოლო დრომდე იცავდა მართლ-მადიდებლობას. კურთხეულ იყოს თქვენი მშვიდობიანი მოციქულებრივი მოგზაურობა ძველადვე მართლმადიდებელ ივერიაში. დაე, უზენაესმა მოგმადლოთ ძალა და ღონე, რომ შესძლოთ განაახლოთ და აღადგინოთ უფლებანი ძველ სამოციქულო მართლმადიდებელ ივერიის ეკკლესიისა“.

ამ დეპეშის საპასუხოდ საქართველოს ეგსარხოსმა ინოკენტიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ქუთაისში იმერეთის ეპისკოპოს გიორგის:

„გთხოვ, თქვენო უსამღვდელოესობავ, გადასცეთ ჩემი მადლობა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრების დეპუტატებს იმ მოლოცვისათვის, რომლითაც მომმართეს საეგსარხოსოში მოსვლის გამო. მშვიდობიანი მუშაობა საკეთილდღეოდ ივერიის ეკკლესიისა, რომელიც განუყოფელია რუსეთის ეკკლესიისაგან და ემორჩილება მას, სამართლიანი დამოკიდებულება ამ ეკკლესიის წევრთადმი, განურჩევლად ეროვნებისა—აი, ჩემი წმიდა მოვალეობა და დანიშნულება. მაგრამ მე სრულებით უარს ვამბობ, დავეხმარო ივერიის ეკკლესიის რაღაც კანონიერ მისწრაფებათა და უფლებათა აღდგენის საქმეს. ვურჩევ მწყემსებს, ხშირ-ხშირად და მუყაითად განაღვიონ და განაახლონ ხოლმე თავიანთ შორის მწყემსობის ნამდვილი სული.

საქართველოს ეგსარხოსი, მთავარი ეპისკოპოსი ინოკენტი, უწმინდეს სინოდის წევრი.“

## ნაწყვეტები

### აღმაშფოთებელი მოვლენა.

ის, რაც ჩვენ გავიგონეთ დრამატიულ საზოგადოების საერთო კრებაზე კვირას, 14 თებერვალს, აღემატება ყოველგვარ წარმოდგენას და სიზმარს მოაგონებს ადამიანს: საზოგადოების გამგეობას, რომელიც სამი წლის წინად იყო არჩეული, ერთხელაც არ წარმოუდგენია ანგარიში, ერთხელაც არ მოუწვევია წლიური კრება! როდესაც სარევიზიო კომისიას ჰკითხეს, რად არ გააკეთეთ რევიზიაო, ერთ-ერთმა წევრმა სარევიზიო კომისიისამ განაცხადა, რისი რევიზია უნდა გაგვეკეთებინა, როდესაც წიგნებში მხოლოდ სამი თვის ხარჯებია ჩაწერილი სამის წლის განმავლობაშიო.

აი, როგორა კეთდება ჩვენი საზოგადო საქმეები! საზოგადო საქმეს ჰკიდებენ ხელს ისეთი პირები, რომელთაც ან-ბანური ჭეშმარიტებაც-კი არ გაეგებათ, არ გაუგიათ ის, რომ იქ, სადაც საზოგადოების ფულია, ყოველივე კაპიკი ძვირფასი უნდა იყოს, ყოველივე კაპიკს სიფრთხილით, დიდის სიფრთხილით, უნდა ეკიდებოდეს ის ადამიანი, რომელსაც მინდობილი აქვს საზოგადოების მიერ ეს საქმე.

აქ კი რას ვხედავთ? სამი წლის განმავლობაში—მხოლოდ სამი თვის ანგარიშებია დავთრებში ჩაწერილი! ჩვენ ის კი არ გვინდა ვსთქვათ, თითქოს გამგეობას რაიმე ბოროტმოქმედება ჩაედინოს, მაგრამ განა ასეთი დაუდევრობა პირდაპირი დანაშაულობა არ არის?

ტყუილად დაიბანეს ხელი პილატესავით სარევიზიო კომისიის წევრებმა! ისინი ვალდებულნი იყვნენ ყოველ-წლიურად განეხილად გამგეობის ანგარიშები და, როდესაც ეს ვერ მოახერხეს გამგეობის დაუდევრობის გამო, ვალდებულნივე იყვნენ საერთო კრება მოეწვიათ სა-

## ოსმალელი ქართველები

(შემდეგი*)

წარსულ ზაფხულის დამლევს ადგილი გაიხსნა აქაურ ქართველ კათოლიკეთა ფრანგულ სკოლაში თათრულ ენისა. სკოლის გამგეს პ. ა—ას ჩვეულებად ჰქონია ამ ადგილზე მუდამ ქართველ მუსულმანის მოწვევა. ერთხელ მოვიდა მასთან ერთი ახალგაზდა ადგილის სათხოვნელად. მეც იმ დროს იქ შევესწარი და თავი ასე გამაცნო: მეჰმედ ქიამილ დარბაიძე. ჩვენ ვუთხარით, რომ დარბაიძე ნამდვილი ქართული გვარია, დიდათ სათქმელი და ზემო-იმერეთში სოფელიც არის ამ გვარისაო. დარბაიძე წინათაც დადენილა ამ სკოლაში ფრანგულისთვის, მაგრამ მაშინ ასე ცხოვლად არ ჰყოფილა ერთმანეთის ძებნა, როგორც დღეს არის და შიშიც დიდი იყო ძველი რეჟიმის გამო, ამიტომ მწარე მოგონების მეტი იმ დროიდან არაფერი გამოუტანია: ჩუმად მოვიდოდი, ლამე წავიდოდი, რომ ჯაშუშებს არ დავენახეო. დღეს სულ სხვა არის, დღეს თუ ვხვდებით, აზრიცა ჰხვდება ერთმანეთს, და როდესაც ვშორდებით, ტვირთად მიგვდევს თან ფიქრიცაო. დავიწყოთ ამბავი.

ვიდრე სხვა ლაპარაკს ჩამოვაგდებდით, მე ვაჩვენე დარბაიძეს ადრესები ჩემის მეგობრებისა იუსუფ ბაჰრისა და ომერ ეშრეფის, ამათ იქნებ იცნობდეთ-მეთქი. მან წაიკითხა და მითხრა, როგორ არა, ესენი ჩემი ამხანაგები არიან, მეც იმათთან ვწავლობდი, მე გავათავე წრეულს და ისინი ჯერ იქავე დარჩებიან. იმათ მითხრეს, აქანა არიან, ნახეო, მაგრამ მაშინ ვერ მოვიცალეო. ეხლა-კი სულაც ჩვენთან იქნება და ქართულიც უნდა ისწავლოს. პატარაობისას, ვიდრე თავის სახლში ყოფილა, ქართული წერაკითხვა სცოდნია, მაგრამ შემდეგში სკოლაში ყოფნის დროს დაჰვიწყებია. ასევე დამართნია იმის უფროს ძმას აბდულლა საათის, რომელსაც თათრის უნივერსიტეტი გაუთავებია. იგი ერთხელა ვნახე ქართულ კრებაზე, ძლიერ განვითარებული ახალგაზდა კაცია, ქართველების მოსიყვარულე, ტრაპიზონში დანიშნეს სამაზრო მსაჯულად და ამ კვირებში მიდის. ცალკე სალაპარაკოდ არ შემხვედრია. ესენი სოფელ ბორჩხიდან არიან და იზმითში მოსახლეობენ. იზმითი ქალაქია და მხარესაც ჰქვიან, იქ, მეჰმედ ქიამილის სიტყვით, ბევრი ქართველი ყოფილა ერთად დასახლებული. მამა მისი ხშირად დაიარება სტამბოლში და ჩვენა ვთხოვეთ, როცა ჩამოვა გვაჩვენოს.

რა ფიქრზე სდგა, რას ამბობს მეჰმედ ქიამილი, საით მიდის მისი გზა? მარტო ბედმა განგვაშორა იგი, თუ გულითაც მოგვშორდა? ამაზედ მეჰმედ ქიამილი თითონ მზათ არის გვითხრას პასუხი და მერე ისეთი გულწრფელი, რომ პირველად ყოვლად შეუძლებელია რაიმე ეჭვის შეტანა და მეორედ ნათლადა სჩანს, თუ საით უნდა მიეხვია იმის გულს. მაშ დაუგდე ყური:

—ათი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი იზმითში, ქართული კარგად ვიცოდი, იქ სულ ქართველებში ვიყავ, თათრულიცა. მერე მექთებეში (სკოლაში) შევედი. თურქი ამხანაგები არათ მაგდებდნენ, მოსულიაო, დამცინოდნენ, ტყის კაცი ვეგონე. მე ვუთხარი, რომე ვისაც ჭკვა სწორე აქვს, ის იკითხავს, წინ წავა და კაციც ის იქნება, თუ ტყიდამ არი, მაშინ გამოჩნდება. დავიწყე კითხვა და იმოდონი ვეცადე, რომ როცა ვათავებდით, ყველას წინ წავუარე.

როგორ მოგწონს, მეგობარო, ეს პატარა მოთხრობა? ეს ხომ თავის ქება და კვეხნა არ არის, აქ არის აღწერილი, ჯერ ბუნებრივი მოვლენა და ნამდვილი სიმართლე. წესია და ადათი სოფლისა. ქვეყანაზე მტრობა არ უნდა იყოს, მაგრამ რაკი არის, ზოგჯერ მტერიც მარგებელია. იგია სასწორი და სარეკელა ადამიანისა: თუ კაცი სამუდამოდ დავარდა ილაჯ-გამოლეული, იგი მის ხმაზე ველარ იღვიძებს, ალარად ჰგამა მის დაცინვა და არ დაცინვა; მაგრამ თუ გულში წაფლულია კიდევ ნაღვერდალი, მაშინ მტრის ავი ენა ქარია მხოლოდ, რომელიც გადაჰქქავს იმ ნაღვერდალს და, რამდენჯერაც შემოუბერავს, იმდენად უფრო გაღვივდება ნაკვერცხალი. ვინ იცის, რამდენი ქართველი ქანთა ვითარებისაგან მწარედ დაღუმებული, მაგრამ გულში მომავე თავის ჩამომავლობით, აღგზნე-

*) იხ. „დროება“ № 34.


წარმოდგენა № 36. ქართული თეატრი წარმოდგენა № 36.

ხუთშაბათს, 18 თებერვალს, 1910 წელს

ბენეფისი ი. ფ. ზარდალიშვილისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე თ. დოსტოევსკის

დანაშაული და სასჯელი

დრამა 5 მოქმედებად და 8 სურ. შ. დადიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, გ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. ანდრონიკაშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ზარდალიშვილი, იმნელი, მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ყივიძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

21 თებერვალს ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა წარმ. იქ. „შავი ბერი“.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—6)

ისე ძნელი არ არის გაარჩიოთ

კარგი პაპიროსები ცუდისაგან, როგორც ეს გვეჩვენება. გთხოვთ მხოლოდ შინჯოთ პაპიროსები ახალ თამბაქოს ფაბრიკის სავ. სახ. „ძმ. სეილანოვების“

ზეფირი 25 ც. 15 კაპ. და 10 ც. 6 კაპ.

ვოსხოდი 10 ცალი 5 კაპ.

მარსი 20 ცალი 5 კაპ.

რომ დარწმუნდეთ რომ ეს პაპიროსები ყველა ცნობილ პაპაროსებს სჯობია.

სათუთუნო ფაბ. სავ. სახ. „ძმები სეილანოვები“. (15—ტ.—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—110)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^{1/2}$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—272)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—16

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორნის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—368)

ექიმი გ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, ძიზეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ნალ.—97)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—60

ექიმი მ. დ ბეთანოვი ქუთაისში,

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—18)

ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—26)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—101)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—117)

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—17)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—23)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღამოთი $5^{1/2}$—$6^{1/2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^{1/2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—3)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის ყოველ-კვირეულ სურათებიან სამხატვრო - სალიტერატურო, საზოგადოებრივ და სამეცნიერო ოსურ ჟურნალ

„ავსირ“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| გაუგზავნელად | 1 წლით. 5 მ. | ½ წლით. 2 მ. 50 კ. | 3 თვით. 1 მ. 25 კ. |
| გაგზავნით | 6 მ. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. |

ჟურნალში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის საუკეთესო ლიტერატურული ძალები. ჟურნალის 1-ლი ნომერი გამოვა 14 თებერვალს.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია ტფილისში, მატინოვის ქ. N 5.

რედაქტორ-გამომცემელი არ. კოცოევი. (3—2)

ზოგადოებისა და თავიანთ სამსახურისა პირველსავე წელიწადს განეცხადებინათ ყოველივე, რაც ნახეს და ვერ ნახეს. ამიტომ თუ გამგეობა დამნაშავეა, სასტიკი დამნაშავე, რომ ანგარიშები არ შეადგინა, დამნაშავეა აგრეთვე სარევიზიო კომისიაც, რომელმაც არ ამცნო საზოგადოების წევრებს საქმის ვითარება, ვიტყვით კიდევ მეტს, დამნაშავენი არიან თვით საზოგადოების წევრნიც, რომელთაც სურვილიც არ დაებადათ სამი წლის განმავლობაში გაეცნოთ საზოგადოების მდგომარეობა, მისი ვითარება, გამგეობის მოქმედება.

დაუდევრობა—საერთო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ასეთი დაუდევრობა, მგონია, ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება და ჩვენს მწარე აწმყოსაც აღარ შეეფერება.

**ახალი.**

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. ტელ. სააგენტ.)

**ბიუჯეტი**

ბიუჯეტის შესახებ, ალექსენკოს, ფინანსთა მინისტრის, კუტლერისა და პოლოვნევის გარდა, ილაპარაკა თითქმის ყველა ფრაქციის წარმომადგენელმა.

**დზიუბინსკიმ** (ტრუდოვიკი) სთქვა: საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ძალიან შეაქო ბიუჯეტი, თუმცა ამავე დროს აღნიშნა ზოგიერთი მისი ნაკლიც. სამინისტრომაც და კომისიის თავმჯდომარემაც უდიდეს საქმედ გამოაცხადეს სახალხო სწავლა-განათლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ამ საქმეზე მხოლოდ 30 მილიონი მანეთი გადასდეს. ფინანსთა მინისტრმა სასიხარულო მოვლენად ჩასთვალა ის, რომ საზღვარ-გარედ დიდ-ძალი პური გადაიტანეს. ამის წყალობით აურაცხელი ოქრო შემოვიდა ჩვენს ქვეყანაშიო. ავიწყდებათ ფინანსთა მინისტრს, რომ ხალხი ნახევარზე მშიერიაო. შემდეგ ორატორმა მოიყვანა სხვა და სხვა ციფრები შემოსავალ-გასავლის შესახებ და აღნიშნა, რომ მთელი სიმძიმე გადასახადებისა, განსაკუთრებით არაპირდაპირ გადასახადებისა, ღარიბ ხალხს აწევს კისერზე. მთავრობა დიდძალ ფულს ხარჯავს უსარგებლო რამეებზე და ივიწყებს კულტურულ-განმანათლებელ საქმეებს. ტრუდოვიკების ფრაქცია აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემს ხმას და ამით აუწყებს ყველას, რომ ჰკიცხავს მთავრობის მოქმედებას.

**ბელოუსოვმა** (ს.-დემოკრატმა) სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ ბიუჯეტი უდეფიციტოა, მაგრამ რუსეთი მაინც კვლავინდებურად გაჭირვებულია. სახელმწიფოს ათი მილიარდი სესხი აწევს კისერზე. გლეხობისა და მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ნიშნები არა სჩანს. კვლავ უმუშევრობა და უუფლებობაა გამეფებული. ბიუჯეტი წინანდებურად სწოვს უკანასკნელ სისხლს ხალხს. არავითარი რეფორმები, პირიქით, იზრდება ხარჯი სამხედრო, საპოლიციო და საპენსიო საქმეებზე. ჩვენი სახელმწიფო ღარიბი და ღატაკია, მაგრამ იგი მაინც აურაცხელ ფულსა ხარჯავს მილიტარიზმზე. ვისაც ხალხის სიკეთე უნდა, თვალებიც უნდა აუხილოს ამ ხალხს. ასეთმა კაცმა უნდა უთხრას მთავრობას წადით, გასწმინდეთ ადგილები იმათვის, ვინც ხალხის ნდობით არის აღჭურვილიო.

**ლვოვი 1-ლი** (პროგრესისტი). ორატორმა სთქვა: ბიუჯეტის უდეფიციტობა არა ნიშნავს ხალხის კეთილდღეობას. სათათბიროშიაც არა ერთხელ აღნიშნეს, რომ ხალხი უზომო გადასახადებისაგან წელშია გაწყვეტილიო. არავითარი წესი არ არის გადასახადების და სახელმწიფო მეურნეობის წარმოებაში. ხალხს უპირველესს ყოვლისა უნდა მიეცეს უფლებრივი ნორმები, უზრუნველ ყოფილ იქმნას სარგებლობა მიწით და სხვა. ამ ჟამად ვისურვებ, რომ ეს უდეფიციტო ბიუჯეტი არ იყოს უკანასკნელი.

**ბერეზოვსკი მე-2-ე** (მემარჯვენე). ორატორის სიტყვით, მემარჯვენეთა ფრაქცია მწუხარებით აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის განხილვამ ორ თვე ნახევრით დაიგვიანა. ჩვენი ბიუჯეტი უკეთესდება. ეს ასეც უნდა იყოს: რაც უფრო ვშორდებით 1905-6 წლებს, მით უფრო უმჯობესდება ჩვენი სახელმწიფოს საქმეები. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მშვიდობიანობა ჯერ არ დამდგარა. როდესაც სრული მშვიდობიანობა დადგება, ჩვენი ფინანსებიც სულ ერთიან გამოკეთდება.

**ეროპკინი** (ოქტომბრისტი). ორატორი შეეხო წინანდელ ბიუჯეტებს. აღნიშნა, რომ მაშინ ხარჯი ბევრად სჭარბობდა შემოსავალს და სასიხარულოდ ჩასთვალა ეხლანდელი უდეფიციტო ბიუჯეტი. დასასრულ, ორატორმა სთქვა, რომ მთავრობა ყოველთვის არ ასრულებს სათათბიროს სურვილს საფინანსო საქმების მოწესრიგების შესახებ. ვიდრე აღმასრულებელი ორგანო ხელ-უხლებელი იქნება, ვიდრე სახელმწიფო კონტროლი აღმასრულებელ ორგანოს ნაწილს შეადგენს, მანამდე ჩვენი ბიუჯეტი უკონტროლო იქნება, ამიტომ სათათბირო ბიუჯეტის შესახებ პასუხის-მგებლობას ვერ იკისრებსო.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

კვირის „ზაკავკაზიე"-ში ბ-ნი აბისელი სწერს:

ჩემს წერილში, მოთავსებულს „ზაკავკაზიე"-ს მე-34 ნომერში, როდესაც ვლაპარაკობდი იმ პირებზე, რომელთაც დღეს თავიანთ თავს ჟურნალისტის სახელს უწოდებენ, ხოლო გუშინ ჩვენ საფინანსო დაწესებულებიდან იქმნენ გაძევებულნი ქურდობისა და ფულის გაფლანგვისათვის, სახეში მყავდა ისეთი ჟურნალისტები, როგორიც არის ბ-ნი ი. დოდაშვილი-მაგარსკი, გაზ. „ნოვაია რეჩის" თანამშრომელი, რომელიც ყოველ დღე ამ გაზეთის ფურცლებზე ლაპარაკობს ჟურნალისა და სხვა ეთიკაზე.

# დეპეშები

პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსაგან

14—15 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ.**

**სტამბოლი.** მთელი პრესსა დიდის ყურადღებით ეკიდება ბოლგარიის მეფის პეტერბურგში ჩასვლას. გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ ხელმწიფე-იმპერატორის სიტყვებს, რომლითაც მათმა უდიდებულესობამ მეფე ფერდინანდს სადილზე მიმართა. გაზეთების უმრავლესობა კმაყოფილია ხელმწიფე-იმპერატორის სიტყვებით, მხოლოდ ხაზ გასმით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ხელმწიფე-იმპერატორმა დიდ მნიშვნელობა მისცა, ბოლგარიის დამოუკიდებლობის მოპოვებასო. „ერთობა და პროგრესის" ორგანო „ტანინი" ჰფიქრობს, რომ რუსებს სლავიანების გადაბირება უნდათ. გაზეთი, სხვათა შორის, სწერს: ოსმალებსაც უნდათ, რომ ბოლგარებთან მეგობრული განწყობილება იქონიონ და ჰფიქრობენ, რომ ბალკანეთის ფედერაციის სათავეში ოსმალეთი უნდა იდგესო". „საბახის" აზრით ოსმალეთის დაუხმარებლად ბალკანეთზედ მშვიდობიანობის დაცვა ყოვლად შეუძლებელია.

**ათინა.** მთავრობამ უკვე შეიმუშავა პროექტი კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლების გადასინჯვის შესახებ. პროექტი გადაეცემათ პარტიის ლიდერებს და მომავალ კვირაში პარლამენტში იქნება შეტანილი. პროექტით უცხოელებს საბერძნეთში სამსახურში შესვლის დროს ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეთ, როგორც საბერძნეთის ქვეშევრდომებს. ამას გარდა, დეპუტატთა პალატამ მორიგ სესსიის განმავლობაში უსათუოდ უნდა განიხილოს ბიუჯეტი, არჩევნების დროს ხმის მიცემა საარჩევნო ბარათების საშუალებით უნდა ხდებოდეს, აფიცრებს არ უნდა შეეძლოთ დეპუტატობა და უნდა შემცირდეს დეპუტატების ხნოვანობის ცენზი—30 წლიდან 25 წლამდის.

**ვენა.** გერმანელებში დიდი მითქმა-მოთქმა და აღელვება გამოიწვია მინისტრის შრეინერის გადადგომამ. გერმანელების ინტერესების დასაცველად შეერთდნენ თავისუფალი-მოაზრეები, ნაციონალისტები და რადიკალები, სულ 77 დეპუტატი. ახალ პარტიას ეწოდება გერმანელთა ეროვნული კავშირი.

**ლონდონი.** მეფემ მიიღო პრემიერ-მინისტრი ასკვიტი. მეფე ასკვიტს ნახევარ საათს ელაპარაკა. ასკვიტმა მეფის აუდიენციის შემდეგ მოიწვია მინისტრთა საბჭოს კრება, რომელმაც სამი საათი გასტანა.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ცნობით შინაური კრიზისი ასე თუ ისე დაბოლოვდება ორშაბათს 15 თებერვალს. ამ დღეს პრემიერ-მინისტრი ასკვიტი დეპუტატთა პალატას გააცნობს სამინისტროს პროგრამმას. პროგრამმაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ლორდთა პალატის უფლებების შეზღუდვის საკითხს.

**სტამბოლი.** ათინიდან მთარობამ ოფიციალური დეპეშა მიიღო. დეპეშაში ნათქვამია, საბერძნეთში საქმის ვითარება ცუდად მ. დ. სო.

რადგანაც ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარზედ ხელმეორედ შეტაკება მოუვიდათ ოსმალეთის და ბოლგარიის ჯარისკაცებს, ამიტომ განზრახული აქვთ საბოლოოდ გაასწორონ საზღვარი. ამისთვის არჩეული იქნება განსაკუთრებული კომისია.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო საფინანსო კანონის ის მუხლი, რომლითაც მემკვიდრეობაზედ დაწესებულ გადასახადს უნდა მიემატოს, ზედმეტი გადასახადი მოხმარდა მუშების დაზღვევას სიბერისაგან.

**ბერლინი.** ოფიციალური ორგანო „ნორდ-დოიტშე-რეიხს-კორესპონდენტი" ეხება რუსეთის და ავსტრიის მომავალ დაახლოვებას და სწერს: ტყუილია ის ხმა, ვითომ გერმანია კარგის თვალით არ უყურებდეს რუსეთ-ავსტრიის მომავალ დაახლოვებას. როგორც რუსეთი, ისე ავსტრია გერმანიას განუწყვეტლივ ატყობინებენ მოლაპარაკების შედეგებს. გერმანია ისეთი პატივისმცემელია რუსეთის და ავსტრიის დამოუკიდებელ პოლიტიკისა, რომ იგი თავის დღეში თავის თავს უფლებას არ მისცემს ჩაერიოს რუსეთ-ავსტრიის მოლაპარაკებაში.

**ათინა.** მეფემ მიიღო დეპუტატთა პალატის პრეზიდიუმი. მეფემ იმედი გამოსთქვა, რომ დეპუტატთა პალატა შესძლებს კონსტიტუციის რიგიანად გადასინჯვას. დეპუტატთა პალატამ გადასწყვიტა, 11 თებერვალს შეუდგეს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ პროექტის განხილვას.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს სიტყვით, ტყუილია ის ხმა, ვითომ ასკვიტის სამინისტრო გადადგომას აპირებდეს.

**ბუენოს-აირესი.** 13 თებერვალს ინგლისის და არგენტინის გემები ერთმანეთს დაეჯახნენ. არგენტინის გემი ჩაიძირა. დაიხრჩო რამდენიმე კაცი.

**ბუდაპეშტი.** იუსტის პარტიამ მანიფესტი გამოსცა. პარტია თავის მანიფესტში ხალხს ურჩევს იხელმძღვანელოს პარტიის დევიზით „სასტიკი ბრძოლა ავსტრიასთან ჰუნგრეთის ეკონომიურ დამოუკიდებლობისთვის მისაპოვებლად".

**ვენა.** გაზეთი „ციტი" ეხება ბოლგარიის მეფე-დედოფლის პეტერბურგში ჩასვლას და სერბიის მეფის მომავალ მისვლას პეტერბურგში და სწერს: რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი და ჰრცოგოვიანის შეერთების გამო სამაგიეროს გვიხდის. ბოლგარიის მეფე-დედოფლის პეტერბურგში ჩასვლა და სერბიის მეფის განზრახვა ბალკანეთში რუსეთის გავლენის გაძლიერებას მოასწავებსო.

**ბერლინი.** ბერლინსა და ფრანკფურტის [illegible] საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ. ფრანკფურტის მახლობლად [illegible] მიტინგში მონაწილეობას იღებდა 50,000 კაცი. დემონსტრანტებს პოლიციასთან შეტაკება არ მოსვლიათ.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს სიტყვით ტყუილია ის ხმა, ვითომ ყალბი იყოს მაროკოს სულთნის, მულაი-ჰაფიდის წერილი, რომლითაც იგი პარიზში დადებულ ხელშეკრულებებს ამტკიცებს.

**სტამბოლი.** „ტანინ"-ში დაბეჭდილია იზმაილ-ხაკი-ბაბან-ზადეს წერილი. იგი თავის წერილში ეხება ბოლგარიის მეფე-დედოფლის პეტერბურგში ჩასვლას და სწერს: რუსეთში ბოლგარიის მეფე-დედოფლის მიღების დროს ხაზ გასმით აღნიშნეს ის გარემოება, რომ ბოლგარიამ თავისუფლება მოიპოვა და ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობასაც აძლევენ. შესაძლებელია, რომ ამან ცუდად იმოქმედოს რუსეთ—ავსტრიის შეთანხმებაზე და ბალკანეთის საქმეებზედაო. დასასრულ წერილის ავტორი ეხება ოსმალეთს და სწერს, რომ თუ ოსმალეთის ძლიერი არ არის, ბალკანეთზედ მშვიდობიანობის დაცვა ძალიან ძნელიაო.

**სპარსეთი**

**თეირანი.** მდინარე ჩუმუსხალის გარშემო ატეხილი დავი-დარაბა თანდათან რთულდება. ეს მდინარე კონცესიის ძალით აღებული ჰქონდა ლიანოზოვს. წინად ლიანოზოვის სპარსელი მოიჯარადრეები ამ მდინარეს უფასოდ უთმობდნენ ადგილობრივ მემამულეს. ეხლა კი ნაციონალისტების ინტრიგამ გასჭრა და ლიანოზოვის მოიჯარადრეებმა უარი განაცხადეს იჯარაზედ. ამის გამო ახალმა კონტრ-აგენტებმა მდინარე რუს მეთევზეებს გადასცეს. როდესაც რუს მეთევზეებს მდინარე გილიანის კონსულის აგენტის თანადასწრებით ჩაბარეს, ჩაბარების დროს ადგილობრივი მკიდრნი თავს დაეცნენ აგენტს, სცემეს და გარე-

---

ბულა და ავსილა წყრომითა უგუნურ მტერთა დაცინვაზე და ამდგარან ლონემოკრებილი, რომ დაუმტკიცოს მათ, თუ რა სალაროდან არის გამოღებული მათი სჯა ჩვენზე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ კარგად დავიხსომოთ: ამ ტყიდან გამოსულმა ხალხმა ბევრი დიდი მშრომელი და მოღვაწე მისცა ოსმალეთს და დღეს მრავალი მათგანი მშვიდობით ცოცხლობს. მეორედ, მემედ ქიამილის სიტყვებია უნებურად გულის გარდაშლა და თქმა: აი, დაინახეთ და გაიგეთ, ვინა ვარ და რა ვიქნები. თქვენ რომ მოგშორდეთ, ვის შევუერთდე? არა მე ტყის კაცი არა ვარ, არც ვინმე სხვა, მე ვარ ქართველი, სწორის ჭკუისა და საქმისა.

მაგრამ ვიდრე ამ მოთხრობას გავაგრძელებდე, ერთი თვალი გადავავლოთ ჩვენს ცხოვრებას, იქ რაღაცა მომაგონდა და მინდა ამაზე შენთან საუბარი გავმართო. შენ ხომ კარგად გაგიგონია, რომ მანდ აზიატები ვართ და „ძაღლის" ენა გვაქვს, გული ყაჩაღისა; აქ კიდევ ტყიდან გამოსულები ვყოფილვართ, ველურები; ეს ამბავი ლა გვაკლდა და თურმე, უყურე, ამასაც მოვსწრებივართ. საბრალო ქართველი! მას გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ ვისთანაც მივა და თავს მიუდრეკს, ყველა ძმასავით მიიღებს და სულში ჩაისვამს. სწორედ ამიტომ ყოფილა კიდეც ყველასგან აგდებული და დამცირებული. იტყვიან, აღწერილობაში გოდებას რა ადგილი აქვსო. ნესტარ-ნაკრავმა გულმა ადგილი და დრო არ იცის, წამოიკივლებს. თუ თევზმა სთქვა, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო, ძლიერ უგუნური უთქვამს, თავის შესაფერი; ადამიანს კი აქვს სათქმელი და ამბობს კიდეც. მარჯვენა ყურში ჩამოგვძახიან, აზიატები ხართო და ჩვენი არა მიაჩნიათ-რა, მარცხენაში—ველურებიო; შიგნითაც აუტეხივართ რაღაც ბედსა და ვქადაგობთ: ჩვენი წარსული მძულს, აწმყო მეზიზღებაო და მაშ მომავალს რაღას ვეძებთ, თუ კი ასეთი ნაცრლები ვყოფილვართ. აბა კარგა ჩააკვირდი, რის ნიშანია ესა და რა ყბად აღებაა? მე კი ასე ვიცი, რომ ეგ არის გამოშვებული ყვავი იმ ბნელეთისა, რომელიც სამასი წელიწადია აიშალა საქართველოზე და მას აქეთ მისი მოციქულები სცდილობენ ყოვლის ღონითა, რომ აღმოგფხრან, რათა ჩვენს ნაოხრალზე მშვიდობით დაწვნენ და დაიძინონ და განილვიძონ. სამას წლიანმა კოალიციამ ჰქმნა საქმე თვისი და შეირყა საქართველო, შედრკა ხალხი, ქანაობა დაიწყო, ქრისტიანები მუსულმანთა შიშით მიეკედლნენ საქრისტიანო რუსეთს, მუსულმანები ქრისტიან რუსეთის შიშით გაიბნენ ოსმალეთში და აი კულტურის მექონე, ოდესმე პატივსაცემი ხალხი დღეს შევიქენით აზიატები და ველურები. ასე გვეძახიან, მაგრამ თუ მართალია, პირველ ყოვლისა თავს იკიცხვენ, რადგან თავიანთ ხელთა ნაქმნარსა სჯიან. ისინი ლოლიკურ უკუთქმაში ვარდებიან და ჩვენ ერთმანეთი უნდა შევიძინოთ.

არის კიდეც ამისი ნიადაგი, აქამდე ფარულად შენახული. უმისოდ ტყიდან გამოსული მემედ ქიამილი წყალში გადავარდებოდა, მაგრამ დარჩენია კიდევ რაღაც ბუნდოვანი ხსოვნა, რომ ოდესმე სადღაც ყოფილან და უცხოვრიათ, იქ მზე მხიარულად უცინებდა, ქვეყანა მშობლიურად ეალერსებდა, ამხანაგები ტკბილად იტოლებდნენ. ერთი პირად თავმოყვარეობის შელახვა და ხსოვნა იგი განუცხოველდა, გრძნობამ თავისი გამომხატველი შესაფერი სიტყვები იშოვნა: „ასე არ იქნება, უნდა გაკეთდეს რამე. შევადგინოთ რამე, ფული გამოვიღოთ და სკოლები გავაღოთ: მე მინდა ჩვენი ენა ვისწავლო. ბათუმი არ მინახავს, მაგრამ მიყვარს და მინდა გულში მქონდეს. როისმე უნდა წავიდე, დავიარო, ქართული იმიზა მინდა".

მთელი ჩვენი ბოლოინდელი ისტორია უდიდეს დრამატიზმით არის სავსე, მაგრამ რამდენსაც უკვირდები, იმდენად უფრო იზრდება ეს დრამატიზმი, რადგან ახალი მომენტები ჩნდება, ახალი ტიპები, ახალი ფსიხოლოგია, და აი ეს ერთიც მრავალთაგანი: სადაც დაიბადა, თავს იქაურად არა სთვლის, სადაურიც არის, ის თვალით არ უნახავს, და ასე გულში ხატივით უსვენია სამშობლო. აბა გამოიცანი, ეს რა მდგომარეობაა?

რამდენად არიან სხვები ამ გრძნობით შეპყრობილნი, რამდენად გამოსდევთ საერთოდ ქართველობა, მინდოდა მოკლედ გამეგო და დავეკითხე ჯერ სიმღერებზე, თუ არის კიდევ დარჩენილი რამდენიმე სიმღერები და აგრეთვე რაიმე ჩვეულება. თუ ხალხი დაჩუმდა და აღარა მღერის, აღარა სჩანს მისი სულის კვეთებაც, წართმევია ღონე შემოქმედებისა. მაგრამ საბედნიეროდ, აი, რა მითხრა ქიამილმა:

— ჩვენებმა როგორ არ იციან მღერა, ნადზე მღერიან. ნადი იცი რა არის? ყანაზე რომ გავლენ სამუშაოდ.

ჩვეულებიდან ქორწილზე ვაამბობინე: იგივე ნიშნობა, იგივე მეფე-დედოფლობა თავ-თავის საკუთარ მაყრებით, იგივე მახარობელი და ბაღდადით მკლავის ახვევა, ხოლო ღვინო რომ არ იხმევა, იმის მაგიერ მურაბას გამოუტანენ ხოლმე. გზაზე მაყრიონი მღერით მიდის. ნახევარი გზა ქალი თავის მაყრიონს მიჰყავს, შემდეგ ვაჟის მაყრიონი ეგებება. შინ მისვლისას სახლის მამა წვრილად დახურდავებულ ფულს გადააყრის თავზე და ვინც აჰკრეფს, იმისია. შესვლისას მეფე-დედოფალს კარებზე გადაჯვარედინებულ ხანჯლებ ქვეშ გაატარებენ, დასხავენ ბალიშებზე და გაიმართება სამი დღე და ღამე ლხინი. მემედ ქიამილმა გამაცნო აგრეთვე ერთი ნიშანდობლივი ხასიათი აქაურ ქართველებისა: დარბაისლური ზრდილობიანობა სიტყვა-პასუხში და სოცარი პირ-ფაქიზობა, რომლითაც მას თავი მოსწონს, თურქი თურმე ამ თვისებით ვერ დაიკვეხებს და ბევრჯელ ჩხუბი მოსვლიათ ქართველებს მათთან ცუდი ენის გამო. ბევრი დავიდარაბის შემდეგ ქართველებს, როგორც ყოფილა, დაუბრძენებიათ თურქები და შიშით ერთ ურიგო სიტყვას ველარ ჰკადრებენ. ქართველი კაცი არ დაგაგინებს და არც დაგეგინებაო, სთქვა მამედ ქიამილმა. ამაში ყველანი ერთ-სულოვანად არიან და როგორ სასტიკად სდევნიან ერთმანეთშიაც უწმაწურ ენას, ამის მაგალითიც მიამბო: ორ ქართველს ერთმანეთში ჩხუბი მოსვლიათ დაგინებაზე. შეურაცხყოფილს იარაღი ამოეღო და მესამე კაცი წასწრებოდა,—რას შვრები, კაცს რაზე ერჩი და ეტევიო, შეუძახნია; და როდესაც გაუგია რაში იყო საქმე, იარაღიანი კაცი კი აღარ შეუკავებია, შემგინებელს მივარდნია, ორივეს ერთად მამაშვილური ჭკუა უსწავლებიათ და ასე გაუსტუმრებიათ, შენგან ესენი აღარ გავიგონოთო.

თუმცა აქედანაცა ჩანს, რომ ოსმალეთის ქართველობა შენახულია თავის ეროვნულ ელფერით, მაგრამ მაინც დავუსვი პირდაპირი კითხვა მემედ ქიამილს: შენ გინდა სკოლების გახსნა, მაგრამ აქაური ქართველები მოგვყვებიან, მისდევენ ქართველობას მეთქი. ამაზე მე ის პასუხი მივიღე რომ „სოფლიერნი" ქართულად ლაპარაკობენ და თავის თავად მოუნდებათ ქართულის სწავლება. ვინც ქალაქებში ჩასულან და ენა დაუვიწყნიათ, ვერ ლაპარაკობენ, თორემ ესმიან კი და ისინიც გურჯები არიან, იმათაც დავიყოლიებთო. ერთად ერთ ხნად წერა-კითხვა გამოჰყავს. ძლიერ ვართ გაფანტულები და თუ სკოლები ვერ დავხსენით, დავიკარგებითო, ხოლო გვარის დაკარგვა ერთ საშინელებად მიაჩნიათ ეხლა ამათაც; და ეს გრძნობა, მათი სულის კვეთება და ახალი ლტოლვილება ისე დამიხატა ჩემმა მოსაუბრემ, რომ ამაზე ნაზს და ღრმა გამოთქმას ბევრგან ვერ შეხვდები: „ჩვენებს ისევ თავიანთი ქვეყანა უნდებიან; საქართველო უყვართ. მე აქ დავიბადე, მაგრამა ჩემი თავი საქართველოში დაბედებული მგონია. ერთი უნდა წავიდე, ვნახო როდისმე" და მანამდე კი იმის სიყვარულს ჩვენზე იკლავს.

ზატხულის ერთ დღეს მეწვია ბატონი კარდახვეწილი და თან მოიყვანა თავისი მეგობარი, ახლად გაცნობილი მუსულმანი ქართველი სულეიმან ვესი გიორგაძე, დედით დუმბაძე, დაბადებული სოფელ ფაცაში, ტრაპიზონის მხარეს. იგი აქაურ საექიმო სკოლაში სწავლობს და წელს ათავებს, სამხედრო ექიმი უნდა გამოვიდეს. პირველ გაცნობაშივე თავი უპირველად და სადათ დაიჭირა. ქცევა მარტივი, გულწრფელი, გულღია მოსიყვარულე ქართლელ ახალგაზდას მოგაგონებდა. სჩანს, ქართველებთან რომ იგრძნო თავი, დიდი ხნის მონატრულმა გულმა მოუსვენა და თავისი შინაარსი გამოაჩინა. უფრო მეტს იგი გველაპარაკებოდა და თითონა გვთხოვდა, რომ ჩვენ ყური გვეგდო. ალბად აქამდე ბევრი რამ აწუხებდა და ეხლა სწრაფობდა, ჩვენთვის გაეზიარებინა. სამი ამხანაგი სხვა ჰყოლია სკოლაში, მაგრამ ორს ქართული ენა დავიწყებული ჰქონია და ეს ორნი-ღა შერჩენიან ერთმანეთს მეხვაშიადეთ და განმდობელად. ქართულ ენაზე რომ მოუნდებათ ლაპარაკი, თურმე ერთმანეთს ანიშნებენ და სადმე განმარტოვებულ ადგილს წავლენ, რომ ისე გადაუშალონ ერთმანეთს გულის ტკივილები, ისე დაილაპარაკონ სამშობლო ენაზე, სხვამ ვერავინ დაინახოს. თურმე ჰშინებიათ თურქ-ამხანაგებისა და ერიდებათ, არა სთქვან და წამოგვესივნენ, ეს რა ენა არის, რას ლაპარაკობთ, ჩვენზე ხომ არას ამბობთო. მე ჩვენზე სიავე ბევრი მინახავს და გამიგია, ამიტომ მე რაღა უნდა გამიკვირდეს ამაებს უკვე შეჩვეულს. მაგრამ ეს ამბავი რომ გავიგე, გამიკვირდა კი არა, მთლად გაოცებამ შემიპყრო. ელვა რომ დამცემოდა, არ ვიცი, თუ იგი ისე მძლავრად დამიჭერდა და გამკვეთდა. რა თქმა უნდა, კაცს მოუნდება გულში ჩახედვა მოყვასისა, რომ თანამოაზრე და მოწამე გაჰხადოს იგი თავის ბედისა, თავის „მე"-სი, და საშუალებად ამისა უთუოდ დედა-ენას მიმართავს, რადგან ასე უფრო სიხარული სიხარულს ჰგავს და დარდი დარდსა. ეს მოგვცა ყველას ბუნებამ, მაგრამ ამ ნუგეშის მოსაშლელად მანდ საძაღლეთ გვიხდიან ენას, ენას შოთა რუსთაველისას, და სხვაგანაც დამალული ადგილი უნდა მოვძებნოთ, რომ იგივე ყბა არ დაგვხვდეს და უდიდეს ცოდვად არ ჩაგვითვალონ მთელი კაცობრიობის

კეს მეთევზეები. რუსეთის ელჩი დამნაშავეების დასჯას თხოულობს. მთავრობა აგვიანებს დამნაშავეების დასჯას და უთოს არის ჩუმუსხელის რუს მეთევზეების ხელში გადასვლაზედ: კონცესიის ძალით მდინარეები იჯარით ადგილობრივ მკვიდრი უნდა გადაეცეთო.

**თეირანი.** გაიმართა რამდენიმე მიტინგი უცხოეთში სესხის აღების წინააღმდეგ. პროტესტს აცხადებენ აგრეთვე სატახტო ქალაქის ვაჭრები, მთავრობამ შიგ სპარსეთში უნდა აიღოს სესხიო.

**რ უ ს ე თ ი**

**პერმი.** ქალაქის საბჭო შუამდგომლობს, რომ პერმში პოლიტეხნიკუმი გაიხსნას, ქალაქი პოლიტეხნიკუმისთვის გაიღებს 200,000 მანეთს და ადგილს, 120,000 მანეთად ღირებულს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ მიიღო შეკითხვა ოდესის გრადონაჩალნიკს ტოლმჩევის შესახებ. ტოლმჩევს აბრალებენ 1909 წელს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნების დროს უკანონოდ მოქცევას.

**ეკატერინოსლავი.** საღამოს ათ საათზედ მარიოპოლის და სარტანას სადგურებს შორის უცნობმა ბოროტ-განმზრახველებმა მატარებელში რამდენიმე მგზავრი გაძარცვეს. უცნობებმა წაიღეს 6,000 მანეთი, ჩამოხტნენ გაქანებულ მატარებლიდან და მიიმალნენ.

**ვიბორგი.** გლეხის ოჯახში მოჯამაგირემ ცულით მოჰკლა ოჯახის ხუთი, დასჭრა ორი წევრი. ერთი დაჭრილთაგანი უკვე გარდაიცვალა. მკვლელი მიიმალა.

**მინსკი.** სამართალში მისცეს ბოქაული, ურიადნიკი და რამდენიმე კერძო პირი. ჰბრალდებათ ქრთამების აღება და სამხედრო ბეგრისაგან ახალგაზდების უკანონოდ განთავისუფლება.

**პოლტავა.** თავის ნებით დაბრუნებულ გადასახლებულის, გარჩენკოს დაპატიმრების დროს გარჩენკომ მსუბუქად დასჭრა პოლიციის უბნის-ზედამხედველი, უბნის-ზედამხედველის დაჭრის შემდეგ გარჩენკომ თვითონ დაირტყა რევოლვერი. გარჩენკო სასიკვდილოდ არის დაჭრილი.

**კიევი.** პოლიციამ დააპატიმრა უცნობი. ბრალდება სხვებთან ერთად ვერხნე-სოლომენკაში რახმანოვსკის ოჯახზედ თავდასხმა და რამდენიმე სულის დაჭრა და მოკვლა.

# „ჯეჯილის“ დღესასწაული

კვირას, 14 თებერვალს დილით, ქართულ თეატრში გაიმართა საბავშვო წარმოდგენა და „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის დღესასწაული. ვინც ამ წარმოდგენას დაესწრო, ეჭვი არ არის, დაგვეთანხმება, რომ ამ უმანკო ბავშვთა დღესასწაულმა და სიხარულმა ცოცხლით მაინც გულიდან გადაგვიგდო ჩვენი ცხოვრების დარდი და ვარამი და მთელის არსებით გაგვამხიარულა.

პირველად ბავშვებმა წარმოადგინეს საბავშვო ვოდევილი „მდგმური“. უმთავრესი მოთამაშენი პაწია ბავშვები იყვნენ. მშვენივრად ითამაშეს, აზრიანად და უბრალოდ. თვით პიესა საცინელი გამოდგა და ამ თამაშმა ძალზე გაამხილა პაწია და დიდი მაყურებელნი.

ვოდევილის შემდეგ წაიკითხეს კრილოვის არაკები. პაწია მკითხველები არაკების გმირების ქურქებში იყვნენ გამოწყობილნი.

უფრო საინტერესო იყო სამუსიკო განყოფილება. ორმოცამდე ბავშვისაგან შემდგარმა ხორომ, ბ-ნ ნატრაძის ხელმძღვანელობით, მშვენივრად იმღერა რამდენიმე ქართული სიმღერა. კრიალა ხმები, მწყობრი სიმღერა ყურს ელერსებოდა და ატკბობდა. ბოლოს იმღერეს „გოგონა“ და ზედაც დაუარეს. რამდენს მხიარულობდნენ ბავშვები, როგორ კმაყოფილნი იყვნენ! ერთს სიმღერას რომ გაათავებდნენ, პარტერიდან, ლოჟეებიდან და გალერეიდან დამსწრე ბავშვების ტაშს დასასრული არა ჰქონდა. შემდეგ პატარა ბავშმა როიალის აკომპანიმენტით მშვენივრად დაუკრა სკრიპკაზე. აქაც, ტაშს დასასრული არა ჰქონდა. დაუკრეს ვიოლონჩელ“ და როიალზედაც.

რა კარგი იქნება, რომ ასეთი წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს ხოლმე. დიდები რომ ვზრუნავთ თეატრისა და კლუბების მოწყობას, ბავშვებისათვის არა გვაქვს რა: არც ბალი და არც სხვა რამ ამისთანა. ვიმეორებთ, ბავშვების გასართობად კარგი იქნებოდა, რომ სხვა და სხვა სასწავლებლის მოწაფეთა მონაწილეობით ან სხვა და სხვა ოჯახების ბავშვთა მონაწილეობით გაიმართოს ხოლმე ასეთი წარმოდგენა-საღამოები. ბავშვები დაესწრებიან და მგონი თავის დღეში არ დაივიწყებენ ამ საღამოების შთაბეჭდილებანი.

სამუსიკო განყოფილების შემდეგ გვაჩვენეს ცოცხალი სურათი დედა, ბავშვებით შემოხვეული, „ჯეჯილით“ ხელში. კულისებიდან ისმოდა ლექსი „იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო“. იშვიათი სურათი იყო. არ გვახსოვს, ასეთი კარგი ცოცხალი სურათი დაედგათ სადმე.

ბოლოს მიულოცეს „ჯეჯილის“ დამაარსებელს და მოამაგეს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა! მილოცვა მეტად გულწრფელი იყო. ჩვენს ცხოვრებაში ბევრსა ნიშნავს ჟურნალის ოცი წლის არსებობა. სწორედ ანასტასიასავით მხნესა და მტკიცე ხასიათის ადამიანს შეეძლო ყოველ გვარ დაბრკოლების გადალახვა.

პირველად ქ. შ. წ.-კითხვის საზოგადოების სახელით ქ-ნ თუმანიშვილი-წერეთლისას მიულოცა ბ-ნმა ლ. ბოცვაძემ. შემდეგ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების და მარშლების სახელით მიულოცა და მშვენიერი თაიგული მიართვა ბ-ნმა ტერიაშვილმა. ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა ტფ. ქალაქის თვითმმართველობის სახელით მიულოცა და მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ მიულოცეს: „ნაკადულმა“, სომხურმა საბავშვო ჟურნალმა „აგბიურმა“, მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ, ჟურნალისტთა საზოგადოებამ, საბავშო ბაღმა, „მშაკმა“, „სხივმა“ და „ზაკავკაზიემ“ და „თეატრმა და ცხოვრებამ“, ტფ. ქართულმა გიმნაზიამ, „განათლების“ სკოლისა და ქართულ ქალთა სახელოსნო სკოლის მოწაფეებმა. ერთმა მოწაფემ, სხვათა შორის, უთხრა ანასტასიას: დეიდა, შენ მოხუცდები ჩვენ ვიმუშავებთ და შენს „ჯეჯილს“ ყანად გიქცევთო. მიულოცა დრამატიულმა საზოგადოებამ, „განათლების“ სკოლის გამგემ, ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებიდან წარმომადგენელმა და სხვებმა. ბოლოს წაიკითხეს დეპეშები.

დამსწრე ხალხი და განსაკუთრებით ბავშვები მეტად ნასიამოვნები დაიშალნენ.

თეატრი სავსე იყო ბავშვებით. ბლომად იყვნენ დიდებიც. სამწუხაროდ, ქართველი მასწავლებლები ნაკლებად სჩანდნენ. იყვნენ მხოლოდ ტფილისის პირველ დაწყებით სკოლების და ქართულ გიმნაზიის ქართველი მასწავლებელნი. ამათ გარდა ქალაქში აუარებელი ქართველი მასწავლებელია საშუალო და დაბალ სასწავლებლებში. ეტყობა, ამათ არაფერი არ აინტერესებთ, არაფერს არ ადევნებენ თვალ-ყურს. სამწუხარო მოვლენაა...

# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

**წერილი საქართველოს ეკლესიის შესახებ.** „რეჩის“ მე-40 ნომერში (ოთხშაბათი, 10 თებერვალი) დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „ახალი შუამდგომლობა საქართველოს ეკლესიისა“.

**ჟურნალისტთა კრება არ შედგა.** ტფ. ჟურნალისტთა კრება კვირას, 14 თებერვალს, არ შესდგა, რადგან არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი საზოგადოების წევრთა. განსაკუთრებული კომისია განაგრძობს მირზოევ-ნაგურსკი ყიფიანის საქმის გამოძიებას. კომისია მოხსენებას წარუდგენს კრებას კვირას, 21 თებერვალს.

**შიმშილი.** „რეჩი“ სწერს: ამ დღეებში ჩამოსულმა დეპუტატმა გეგეჭკორმა გადმოგვცა, ქუთაისის გუბერნიას საშინელი შიმშილობა მოელის და მიუხედავად ამისა, ადმინისტრაცია საჭირო ზომებს არ იღებსო. პირიქით, ადმინისტრაცია უკანასკნელ 13 წლის განმავლობაში დარჩენილ გადასახადებსაც-კი ჰკრეფავს. ადგილობრივ გლეხების შუამდგომლობებს და საჩივრებს უყურადღებოდ სტოვებენო.

**დეპეშები.** „ჯეჯილის“ არსებობის 20 წლის შესრულების გამო მოგვივიდა შემდეგი დეპეშები: ხონიდან—„ხონის საზოგადოებამ გადაიხადა პარაკლისი. ვუსურვებთ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისას მრავალ წელიწადს მუშაობას ქართველ ბავშვებისა და საზოგადოების სასიხარულოდ“. სიღნაღიდან—„წ.-კ. საზოგადოების სიღნაღის განყოფილება ულოცავს ან. თუმანიშვილი-წერეთლისას ჟურნალ „ჯეჯილის“ არსებობის 20 წლის შესრულების გამო და უსურვებს კიდევ დიდხანს სიცოცხლეს და ნაყოფიერ მუშაობას. განყოფილებამ გადასწყვიტა გამოიწეროს ოთხი ცალი „ჯეჯილი“ ჩვენის მაზრის ულარიბეს სკოლებისთვის. ექ. კ. ტურიაშვილი“.

**ფრანგი დეპუტატები.** როგორც ვიცით, საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატები და სენატორები, პეტერბურგს გარდა, მოსკოვშიც იყვნენ. „რეჩის“ სიტყვით, ფრანგ დეპუტატებს პატივსაცემლად კავკასიურ რესტორანში ნადიმი გაუმართნიათ. რესტორანი კავკასიურად ყოფილა მორთული. საჭმელ-სასმელებიც კავკასიური ყოფილა. კავკასიელ სტუდენტებს ზურნა დაუკრავთ. ფრანგ და რუსს დეპუტატებს კავკასიის სადღეგრძელოები დაულევიათ.

**დადიანის დაპატიმრება.** 12 თებერვალს, როგორც „ზაკ.“ გადმოქვცემს, ტფილისში დააპატიმრეს თავ. უჩა დადიანი. ამბობენ, მის დაპატიმრებას კავშირი აქვს ქუთაისში მომხდარ თავ. ალ. დადეშქელიანის მკვლელობასთანაო.

**ზვავი.** „რუსკ. სლოვოს“ სიტყვით, 10 თებერვალს დუშეთის მაზრაში, ხევში ორი ზვავი ჩამოწოლილა. დაღუპულა რამდენიმე კაცი.

**პოლკოვნიკი ლიახოვი.** „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით, ტფილისის პოლკის უფროსად დანიშნავენ პოლკოვნიკ ლიახოვს.

**გრ. რობაქიძის ლექცია.** პარასკევს, 19 თებერვალს, ქუთაისში გრ. რობაქიძე წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე: რელიგია მშვენიერებისა (შესახებ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა). ლექციის დაწყების წინ კიტა აბაშიძე წაიკითხავს ქართულად შესავალს ამ სათაურით: „ახალი მშვენიერი სახე“ (დორიან გრეი). მოგვყავს პროგრამა ლექციისა: „შესავალი—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატრული სახე როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა.—უაილდის ესთეტიური თეორია,—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე“ (სიყვარული და სიკვდილი),—რომანი „დორიან გრეი“ (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა).—სულიერი დრამა უაილდისა (თხზულება „De profundis“)—მნიშვნელობა უაილდისა.

12 თებერვალს გუმბრის მაზრის მცხოვრებლებმა არუთინ პეტროსოვმა, ეგორ ადამოვმა, მინას ტარასოვმა და თათოს სიმონიანცმა პოლიციას განუცხადეს, რომ კახეთის მოედანზე ორმა უცნობმა წინადადება მოგვცა მათგან პალტო გვეყიდნა. ამისათვის ისინი უცნობებს გაჰყოლიან სურფ კარაპეტის ხევში, გორის მაზრის მც. ტატო ბროძელის ბინაზე. აქ მათთვის ჩაი მიურთმევიათ, რომლის შემდეგ ჩასძინებიათ კიდეც. ძილის დროს ბოროტგანმზრახველებს ამოუცლიათ 1300 მან. ტფილისში მათ საქონელი მოურეკიათ გასაყიდად და ეს ფული იქიდან აუღიათ. პოლიციამ ბროძელი დააპატიმრა, რომელმაც განაცხადა: 10 თებერვალს ჩემ ბინაზე მართლაც მოვიდნენ ჩემი ნაცნობები აკოფ ათოევი და პავლე (გვარი არ მახსოვს) და მოიყვანეს 4 უცნობი კაცი, რომელთაც, ათოევის სიტყვით, სდომებიათ ყალბ ქაღალდის ფულის ყიდვა. ათოევმა მიიღო უცნობებისაგან 300 მან. აქედან 30 მან. გადმომცა მე. მერე თითონ სადღაც მიიმალა თავის ამხანაგით. გამოძიებას გამოურკვევია, რომ პეტროსიანცი, ადამოვი, ტოროსოვი და ტერ-სიმონიანცი სადგურ საიდანზე შეყრილან და იქ გადაუწყვეტიათ, ტფილისში წამოსვლა და ყალბ ქაღალდის ფულის შეძენა ათოევისაგან. ათოევს აღნიშნულ პირთაგან მიუღია მართლაც 300 მან. და არა 1300 მ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ქართველები ნაკლებად ვიცნობთ მეზობელ ერებს. ენის უცოდინარობის გამო ვერ ვადევნებთ თვალ-ყურს მათ მწერლობას, ლიტერატურას. არ ვიცით მათი მისწრაფებანი, გულის-ნადები. ამიტომ მადლობის ღირსია ტ. აბაშიძე, რომ გვიარს თავის ბენეფისში გაგვაცნო სომხის მწერლის შირვან-ზადეს დრამა „ნამუსისთვის“. სომხის მწერალთაგან ქართველი საზოგადოება იცნობს მხოლოდ მხცოვან დრამატურგს გაბრიელ სუნდუკიანცს. ყველა მისი ნაწარმოები გადმოთარგმნილია და მრავალჯერ წარმოუდგენიათ კიდეც. დანარჩენ დრამატურგებისა და ბელეტრისტებისა არაფერი გადმოთარგმნილა, ორიოდე პატარა მოთხრობის გარდა.

შირვან-ზადეს დრამამ „ნამუსისთვის“ თავის დროზე, ამ ექვსიოდე წლის წინად, დიდი ყურადღება მიიქცია სომხის საზოგადოებისა და

---

უფლება. ასე რამ დაამსგავსა ერთმანეთს ჩვენი ბედი, ვფიქრობდი გაკვირვებული. ერთი გადადგმა კიდევ და მერე თვით საკუთარი დედის რძე შეშურდებათ ჩვენი ყრმებისთვის. დამნაშავე? მიზეზი? შორს ძებნა რათ გვინდა! განა ჩვენ არა ვართ ის ხალხი, ოც ქართველში რომ ერთი ვინმე გამოერიოს ქართულის არა მცოდნე, მაშინვე უცხო ენაზე დავიწყებთ ლაპარაკს, თანაც ამ გულში ღრმად ჩამარხულ მონობის სულს ფუქსავატი გამართლება მოვუპოვეთ, ზრდილობიანობაო, ვამბობთ. ზრდილობიანი კი არა, ბრმანი ვართ და ლაჩარნი, სულმდაბალნი. რა ზრდილობაა; ათი და ოცი ერთისთვის ენას ვიმოკლებდეთ, და ასე ნებითა ჩვენითა ვაყენებთ აზრთა და გრძნობათა თავისუფალ დენას, ვაყენებთ მათ თავისუფალ ბუნებრივ ზრდას, რომელიც მარტო მშობლიურ ენითა ხდება, მოკლედ ვუფარგლავთ გზასა და ვუკვეცავთ ალმაფრენას. ამიტომ ვართ აზრითაც მოკლენი და გრძნობითაც სუსტნი. რა არის დღეს ჩვენი სულიერი ძალა და ავლადიდება? რათ შევიქენით ასე ადვილად გასაბედნი შეურაცხყოფისა?

გვიამბობდა სულეიმან ვეისი გადმოსახლებულ ქართველთა ცრემლით დაწერილ ბედსა და ჩვენც გულზე ცეცხლ-მოკიდებულნი ვუსმენდით ამ წამებულ დღეთა ცოცხალ მოწამეს. საცოდავი ხალხი! რომ აუტაცნია რაღაც მონაბერს და ათი ათასობით ოსმალეთში წამოსულა, დიდი იმედი ჰქონია და ჰგონებია, რომ აღთქმულ ქვეყანაში მოდის და სამოთხეში დასახლდება, ანგელოზებში იცხოვრებს. ის აბდულ ჰამიდი, რომელსაც თვით ოსმალეთი მარტო თავის საჭმელად მიაჩნდა და იმასაც სრულიად დღუპავდა, რომ ერთი დღე კიდევ დასცლოდა, ამათ ღმერთად ჰყოლიათ წარმოდგენილი და მისი მზე უფიცნიათ. მაინც ჩვენი ხალხი ასეთია, სანამ ზედ არ წააწყდება უბედურებას, მანამდე არ გაახელს თვალს. თავის თავზე გამოუჭრია ანდაზა: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო. ამათაც მაშინ ინანეს, როცა დაინახეს, რა ცეცხლში შეჰყვეს თავი. ზოგან მწირი ადგილები მიუციათ, უხნავი და ურწყავი, ზოგან ჩერქეზების ნადგომი და დაწუნებული მიწები. რამდენი კიდევ სხვა უბედურება მოსდევს აყრას! შემოაკლდათ სარჩო. მაგრამ გული რათ უნდა გაიტეხონ, აქ არ არიან თურქები, რჯული ერთი აქვთ და იმათაც ხომ რჯულისთვის დასტოვეს ქვეყანა და ამათ შემოაფარეს თავი, ესენი როგორ მოითმენენ მათ გაჭირვებას, ოღონდ გაუმხილონ, სთქვან თავიანთი შეწუხება. გულუბრყვილო ხალხმა, რჯულის ერთობით ნუგეშარმა, მიმართა თურქებს და... ვალაპარაკოთ სულეიმან ვეისი.

— თხოვეს ჰადი, თლათ გამოგველია, ბაღნები მშივრები გვყავანან, ნაჭერიც (ფული) აღარ დაგვრჩა, რომ ვიყიდოთ, მაგრამ თურქებმა უთხრე, არა გვაქვსო. რათა, მუსულმანები არა ვართ, დავტიეთ რუსეთი, თქვენთან მოვსულვართ, დღეს თქვენ მოგვეხმარეთ, ხვალ ჩვენ გვექნება. ამაზე ესეთი პასუხი მივიღეთ: აქ რას მოხვედით და გვაწუხებთ, ვინ გვეხვეწებოდათ, ადგილი ჩვენც არა გვყოფნისო და გამოგვისტუმრეს.

ზოგან ამ ცივ უარისთვის ცხელი ტყვია მიუყოლებიათ და კაცი მოუკლავთ, დაშინებულან ქართველები ცალკე სიარულს. ჩავარდი ხალხი გაჭირვებაში, ცაში მფრინავი იმედი გაქრა, წავიდა, ოხერმა სინამდვილემ სიმწარე აჭამა. ვისაც რამ ჰქონოდა და ფულად ექცივა, იმას კიდევ რა უშავდა, მოუხერხებია აქაც მოწყობილიყო, და ან სახლი უყიდნია ქალაქში და ან კაი მამული სოფლად, მაგრამ განა რამდენი იქნებოდა ამისთანა?! უმრავლესობას სახლიდან წამოღებული ადგილობრივ მოსვლამდე და პატარა სულის მოქცევამდე თუ მოჰყვა, თორემ მეტი ნაწივრობი აღარ დარჩენია, სხვისა იმედშიაც მოტყუვდნენ და ასე უნდა ეყურებინათ თავიანთ ცოლშვილის სიტიტვლისა და სიმშილისათვის. ეცნენ აქეთ, იქით, შეუდგნენ დღე-ღამე მუშაობას და წვრილ-წვრილად პურის ყიდვას. როგორც ყოფილა, გაუტარებიათ ის ერთი წელიწადი ვაითა და ათასი უბედურებით პირველ მოსავლამდე. მაგრამ კაცი თუ კაცს არ დაეხმარება, რჯულის ერთობა ფუჭი სიტყვაა; დაითესა ამის შემდეგ უკუბრუნვა გულისა და უკმაყოფილება. ჩვენ მოჰაჯირათ (გადმოსახლებული) მოვსულვართ, თქვენ როგორც გვეკადრებოდა, ისე არ მიგვიღეთო (სულეიმანის სიტყვები), აი ეს საყვედური დაუდვიათ და ხშირად შესაფერ მადლობასაც უხდიან. თითონ განა კი მალავენ, ყველანი ერთად იმოწმებიან, ინტლიგენტები იკვეხიან კიდეც და იმათში თვით მშვიდი სულეიმან ვეისიც, რომ ჩვენში მტრობაა ჩამოვარდნილიო, საცაც თურქები ერთს გვაზარალებენ, იქ ხუთათ ვუხდით მაგიერსა და ასე დავაშინეთო. ამ ზომამდე გაუბრაზებია ხალხი უხამართლობის ნახვასა და გაცრუებულ იმედს.

— კარგი, რაც მოხდა, მაგრამ შეცდომა ის ერთი იყოს, რომ ქვეყანა დასტოვეთ. ეხლა აქ მაინც დარჩით ქართველებად, ენას ნუ დაივიწყებთ.

— ჩვენ ქართული ენა არ დაგვავიწყდება,—დაიმედებით მოგვიგო სულეიმან ვეისმა და დაიწყო დასაბუთება. მართალია, წამოსული ქართველობა ძრიელ დაუფანტიათ და აქეთ-იქით დაუბნევიათ, მაგრამ სადაც კი დასახლებულან, ყველგან სცდილობენ ეროვნული სახე შეინარჩუნონ და სადედამიწერო ენადაც ისევ ქართული დაუტოვებიათ, ჩვენ ძლიერ გვიყვარს ქართული ენაო, სთქვა სულეიმან ვეისმა. და თუ აქამდე შეინახეს და აბდულ ჰამიდის საშინელ დროებას გადარჩინეს, ეხლა რა დაავიწყებინებთ.

სწორედ ესევე სიტყვები მითხრა ერთმა აქაურმა მუსულმანმა ქართველმა ამაზე უფრო ბევრად ადრე. მე იმაშიაც ვარ დარმწმუნებული, რომ იდეა ყოფილა დაბადებული ერთ მთლიან შტოის—სამუსულმანო ქართველობისა. ეხლა მაგონდება, მაგალითად, ამნაირი შემთხვევა: ბ-ნ ფ—სთან გავიცანი ერთი დიდი ხოჯა, რომელსაც ქართული ესმოდა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა. ჩემი ქართველობა რომ შეიტყო, მკითხა: ბათუმიდან ხარ თუ იქითა საქართველოდანაო. მთლად იმ მხარეს, რომელიც ოსმალეთს აკრავს და საიდანაც ესენი არიან წამოსულნი, გურჯისტანს ეძახიან. ერთი მანდილოსანი, რომელზედაც ქვემოდ მექნება ლაპარაკი, იმმუსულმან სჯულს იწონებს და თაყვანსა სცემს, რომელიც უჭირავთ გურჯებს და არა თურქისას, და სხვა ამნაირი სიმპტომატიური ნიშნები.

აი, ამ შტოდან გამოყოფილნი და გაფანტულნი ცდილობენ, აქაც იმადევ დარჩნენ და დაიცვან თავიანთი ენა-ზნე-ჩვეულებანი. მე რომ ამათ ლაპარაკს ვისმენ, სულეიმან ვეისის მტკიცება ცალიერ სიტყვებად არ მიმაჩნია. ბევრი იმისთანა მშვენიერი ქართული ტერმინი დარჩენილა, რომელიც მანდ სხვისაზე შეგვიცვლია. მოვიყვან ერთ მაგალითს: ხომ იცი, როგორ ვაცოდვილებთ ჰკუასა და ხან „დაჩას„ვამბობთ, ხან „აგარაკსა“ და ერთში-კი კი არა ჰყრია რა, არაფერს ეუბნება სულსა და გულს. აქ ზეგანს ეძახიან. ზეგანი მაღლობ ადგილსა ჰქვიან და აქ იგი ზოგად ცნებად გადაუქცევიათ. ზეგანში მივალთო, რომ უთხრა, საზაფხულო ადგილს იგულისხმებენ. ჩვენ ზეგანში წავედით და იქ გელითო, სწერენ სახლიდან სულეიმან ვეისს. ვინც კი ლაპარაკობს ქართულს, ისეთის მარტივისა და აზიზ ქართულით გადმოგვცემენ თავიანთ აზრსა და გრძნობას, რომ სწორედ ეხლა მიკვირს ქართულ ენის მშვენიერება და სიდიადე. მასთანვე რაოდენი ძალა და გამძლეობა ჰქონია, რომ სჯულთან ყოველ ღონით ებრძოდნენ ამასაც, მაგრამ მაინც თვით მოწყვეტილი თავის მასაზრდოებელს - ქართულ მწერლობას—ამ დაქსაქსულებშიაც დარჩენილა ენად ასე ტკბილ მიმზიდველად და შნოვანად. ზოგისგან ისეთი მშვენიერი ქართული მომისმენია, რომ გულში მომნატრებია იმისთანა გამოთქმა და ლაპარაკი. როცა ყურს ვუგდებ,—მოკლე მარტივი გამოთქმა, ფრაზების აწყობა-დალაგება და ძლიერი დაპირდაპირება აზრისა აზრთან ჩვენ ძველ მწერლობას მაგონებს. მაინც ამათი მხარე შეიქმნა პირველად ქართულ განათლების აკვანად. მეორე საყვედური სულეიმან ვეის—გადაგიბრუნებიათ ქართული ენა, ჩვენ სწორედ ვლაპარაკობთ, თქვენ რანაირ სიტყვებსა ხმარობთო. ჩაგვიდგა კრიჰაში და ერთხელ, როცა ერთმა ჩვენთაგანმა ვერ გაიგო მისი ნახმარი ქართული სიტყვა „აკონილი“, გაიცინა და უფრო აგვავსო საყვედურით. ერთის სიტყვით, რა ბევრი გავაგრძელო, არ მოსწონს ჩვენი ქართული ლაპარაკი და მე მისი შენიშვნა ძლიერ საგულისხმოდ მირჩება. რაც აქაურ ქართველობას და მათ ლაპარაკს გავეცანი, მასუკან უფრო ცხადი შეიქმნა ჩემთვის, რასა ვშვრებით და რა სახიფათო დაშორების გზაზე დაგვიყენებია ქართული სამწერლო ენა. სათავეში დამდგარმა ინტელიგენციამ, რუსულ სკოლაში აღზრდილმა და რუსულად მოაზრემ რუსულ ენის ფორმები შემოაპარა ქართულ ენას და მისი განვითარება ააცილა საკუთარ კანონებს. თვით ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა რომ ბევრი გვასიამოვნა აქ გამოვლისას, თავის მოხდენილ ქართულით, ასეთი ფრაზა იხმარა: საჭმელებს სულ **ზეთზე** ხკეთებენო (გემში). ქართველები ცეცხლზე აკეთებენ **ზეთში** და ერბოში, ან ზეთითა და ერბოთი. აქაურ ქართველობაში კი თუმცა სიტყვა ბევრი გაურევიათ თათრული, მაგრამ თვით აგებულება ენისა ლიტერატურის უქონლობით ზედგავლენის გარეშე დამდგარა. თითქმის მანდ ქართულ სამწერლო ენით რუსი ინტელგენტი ელაპარაკება ქართველ ხალხსა და აქ თითოეულ კაცის პირით გელაპარაკება თვით ხალხი. ვიგონებ იმ შავს დროს, როდესაც პირველად დაიქუხა ცამ, ჩვენზე მრისხანეთ მოგრიგრილმა და შეირყა, დაიმსხვრა იგი აკვანი, რომელშიაც გამოიზარდა და აიდგა ფეხი ქართულმა განათლებამ, ჩაჰქრა ნიჭი შემოქმედებისა, ჩაჩუმდა ენა, დიად მეტყველი და ხმა მქუხარი, აოხრდა, დუმილმა დაჰფარა აყვავებული მხარე და აჰა დღეს ოდენ ნამსხვრევნი მიმოფანტულნი! მე მათგან მესმის წარსუ-

მწერლებისა. შინაარსი დრამისა ვაჭრების ცხოვრებიდანაა აღებული და ცოტათი წააგავს ცაგარლის „ციმბირელს“.

ვაჭარმა ანდრიას ელიზბარიანმა თავისი მილიონები მოტყუებით შეიძინა. მასა და ოთარიანს საამხანაგო ვაჭრობა ჰქონდათ, ოთარიანის სიკვდილის შემდეგ ელიზბარიანმა მიისაკუთრა მისი ნაწილიც, ხოლო ამხანაგის ოჯახს რაც გროშები მიუგდო, ისიც მოწყალების სახით. გავიდა რამდენიმე წელიწადი. გაათავა სწავლა ოთარიანის ვაჟმა და მოსთხოვა ანგარიში ელიზბარიანს. თურმე ოთარიანის ქვრივს დარჩენია ქაღალდები, საიდანაც სჩანს, რომ ნახევარი ქონება ელიზბარიანისა მათ ოჯახს ეკუთვნის. ამ ამბის გაგებაზე ელიზბარიანს ელდა ეცემა, მაგრამ თავის ქალს მარგარიტას შეაცდენს, გამოართმევინებს ამ ქაღალდებს ახალგაზრდა ოთარიანს (მარგარიტას და ოთარიანს ერთმანეთი უყვართ) და მერე მოჰპარავს. ელიზბარიანი სიხარულით ცას ეწევა. სამაგიეროდ მისი ქალი მარგარიტა პირშავი გამოდის თავის სატრფოსთან, ვერ იტანს ამას და თავს იკლავს.

პიესა მარტივია. დრამის ფაბულაში ორგან-სამგან შეუფერებლობაც არის. არა გჯერა როგორღაც გულ-უბრყვილობა ახალგაზრდა ოთარიანისა, რომელმაც ადგა და ასეთი მნიშვნელოვანი ქაღალდები თავის დამღუპველის ქალს გადასცა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პიესა მაინც საინტერესოა. საუცხოვო ტიპებია დახატული. გამოყვანილია როგორც ძველებური ვაჭარი, ჩვენებური მოქალაქე, რომელიც მთელ თავის სიმდიდრეს სხვის მოტყუებაზე აშენებს, ისე ახალი ჯურის კაპიტალისტი, უმაღლეს სწავლა-დამთავრებული, რომელიც ფაბრიკას აშენებს და დიდი წარმოების დაწყებას აპირებს. ზნეობა, პატიოსნება და ამგვარი რამეები ამოშლილია ამათ კარაბადინიდან, მათი ნატვრა ერთია მხოლოდ—ფული, ფული და კიდევ ფული. სხვისი გაყვლეფა ფულის მოპოვების პირველი სახსარია. მშვენივრად არის დახატული თავის ხაზეინივით მატყუარა და გაქნილი ნოქარი სალათელა. არის მეოთხე ტიპიც—მოქეიფე დარდიმანდი სურენა, რომლის დანიშნულებაც მამის მიერ მოპოვებულ მილიონების ფლანგვაა.

პიესას მომზადება ეტყობოდა. მთავარ როლს, ელიზბარიანისას, ვ. აბაშიძე ასრულებდა, რომელიც რამდენიმე თვეა აღარ გვინახავს. უფრო კარგად ჩაატარა მან პირველი და უკანასკნელი მოქმედება. მობენეფისეს ტ. აბაშიძეს დრამატიული როლი ეკისრა (მარგარიტა) და თუმცა იმის ნიჭს არ შეეფერება ასეთი როლი, მაგრამ საზოგადოებას მაინც მოეწონა. საუცხოვო იყო გაქნილ სალათელას როლში გ. გედევანოვი. კარგები იყვნენ ნ. გვარაძე (ოთარიანი) და ზარდალიშვილი (ბაგრატა). მგალობლიშვილმა მოქეიფე სურენას როლში კვლავ მიიქცია ყურადღება. ამ წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ახალგაზრდა მგალობლიშვილისაგან ნამდვილი არტისტი დადგება. დანარჩენთ უმნიშვნელო როლში ჰქონდათ და ანსამბლს ხელს უწყობდნენ. მხოლოდ საფაროვმა მსახურის როლში გადაამლაშა.

საუცხოვოდ შეასრულა ნინას როლი ვოდევილში მობენეფისემ. ამ ვოდევილმა ბევრი აცინა საზოგადოება.

მობენეფისეს მრავალი საჩუქარი მიართვეს. ხალხიც ბლომად დაესწრო.

—

**სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა.** კვირას, 14 თებერვალს, სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრემ გაიმეორა ჰეერმანის დრამა „იმედის დაღუპვა“. როგორც უოველთვის ამ საღამოსაც თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

## დრამატულ საზოგადოების კრება

კვირას, 14 თებერვალს, ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში მოხდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრების გაგრძელება თავ. ვ. გ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 43 წევრი. ამ დღისთვის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას უნდა წარედგინა სამი წლის მოქმედების ანგარიში. როგორც მკითხველებმა იციან, დრამატიულ საზოგადოების გამგეობას სამი წელიწადია ანგარიში არ შეუდგენია და საზოგადოებამ არ იცის, რა მდგომარეობაშია დრამატიულ საზოგადოების საქმეები, აქვს თუ არა დეფიციტი, თუ აქვს, რა მიზეზებისა გამო და სხვა.

წარსულ კრებაზედაც შეეხნენ ამ საკითხს. ზოგმა წევრმა გაკვირვება გამოსთქვა, რომ გამგეობას არ წარუდგენია ანგარიში. ამ დღესაც კამათი ამ საგანმა გამოიწვია. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომ. თანამდ. აღმასრულებელმა პ. ა. გოთუამ განაცხადა, რომ გამგეობამ ვერ მოასწრო ანგარიშის დამთავრება, რადგან ხაზინადარმა შემოსავალ-გასავლის დავთრები ვერ დაასრულა. ანგარიშის შესადგენად აუცილებლად საჭიროა ერთი თვე მაინც. გამგეობას დღეს მაინც არ უნდა წარმოედგინა ანგარიში, რადგანაც სეზონი ჯერ არ დამთავრებულა და კრებაც საგანგებოდ გამგეობის ახალ წევრების ამოსარჩევადაა მოწვეულიო.

თავმჯდომარე: ეს მართალი არ არის. წარსული კრებაზე დაავალეს გამგეობას უსათუოდ წარმოადგინოს ანგარიში. გამგეობამ თანხმობა განაცხადა. ამას გარდა, კვირის (14 იანვრის) გაზეთებში გამგეობა აცხადებდა, რომ კრებამ უნდა განიხილოს 1908 და 1909 წლების ანგარიშიო. თუ ანგარიში არა ჰქონდა შედგენილი, რად აცხადებდა? შეეკითხა დამსწრეთ, შეუდგეთ არჩევნებს, თუ კრება გადავდოთ იმ დრომდე ვიდრე გამგეობა ანგარიშებს წარმოადგენდესო. თავ. ნიკ. რევაზ. ერისთავი წინააღმდეგი იყო გამგეობის არჩევისა იმ დრომდე სანამ ანგარიში იქნება განხილული.

კრებამ, კარგა ხანს თათბირის შემდეგ, თავ. გ. ალ. ბაგრატიონ დავითაშვილის წინადადებისამებრ დაადგინა, დაავალოს გამგეობის ძველს წევრთ განაგრძონ მუშაობა და დაამთავრონ სეზონი. სეზონის დასრულებისთანავე მოიწვიონ საზოგადო კრება და წარუდგინონ ანგარიშები სამი წლისა.

ასეთ დადგენილების შემდეგ კრებამ შესაძლებლად სცნო გამგეობის ახალ წევრთა არჩევანი. კრებამ ერთხმად აირჩია გამგეობის წევრად თავ. ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავი. კენჭის ყრით გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ნიკ. გ. ქართველიშვილი, ალ. პ. სარაჯიშვილი, შალვა მიქელაძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ტარსაიძე, და დავით ნახუცრიშვილი. კანდიდატებად: თავ. ნიკ. დ. ერისთავი და ბ-ნი შიხინოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად: პ. მამრაძე, დ. დუმბაძე და რატიშვილი.

კრებამ, დასასრულ, ვლ. ალექსი-მესხიშვილის წინადადებით, საპატიო წევრად აირჩია კნ. ანასტასია მაჩაბლისა.

## ბალკანეთის საქმეები

**რიფაატ-ფაშის აზრი ავსტრია-რუსეთის შეთანხმებაზე.**

ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს რიფაატ-ფაშას უთქვამს „რუსკ. სლოვოს“ კორესპონდენტისთვის: ოსმალეთი დაარწმუნეს რუსეთისა და ავსტრიის მთავრობებმა, რომ მათ შორის მოლაპარაკება მხოლოდ ბოსნია ჰერცოგოვინას ანექსიით მოშლილ ურთიერთობის აღდგენაზეა გამართულიო; ოსმალეთმა შეიტყო ისიც, რომ რუსეთის მთავრობამ აცნობა ავსტრიისას, რუსეთმა და იტალიამ რაკონიჯში ერთმანეთთან შეთანხმება დასდეს და თუ ჰნებავს, ავსტრიასაც შეუძლიან ამ შეთანხმებას მიემხროსო. ეს შეთანხმება უზრუნველ-ჰყოფს ბალკანეთის ეხლანდელ მდგომარეობას და იქაურ სახელმწიფოების თავისუფალ განვითარებას. ოსმალეთი თანაუგრძნობს ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედერაციას და სასურველად სთვლის მის განხორციელებას. ამ ფედერაციას მხოლოდ მტრის მოგერება უნდა ჰქონდეს მიზნად და არავის არ უნდა ემუქრებოდეს. ესეთი ფედერაცია უზრუნველჰყოფს ევროპის მშვიდობიანობასო.

**საბერძნეთში.**

მომავალ კვირას საბერძნეთის პარლამენტი დაჰნიშნავს ეროვნულ კრების მოწვევის ვადას. ბრძანებას კრების მოწვევაზე წაიკითხავენ ხმელეთისა და მეზღვაურ აფიცრების წარმომადგენელთა თანადასწრებით. ეს წარმომადგენელნი ერთგულებას გამოუცხადებენ მეფეს და ამით დაამტკიცებენ, რომ მათში რევოლიუციონური მისწრაფება გაჰქრა.

**ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრის ნათქვამი.**

ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრს პაპკოვს უთქვამს ერთ რუსულ გაზეთის თანამშრომლისთვის, ბალკანეთში საშიში მდგომარეობაო. კრიტის და მაკედონიის საკითხები ძლიერ გამწვავდა; შესაძლებელია, ოსმალეთსა და საბერძნეთს ომი მოუხდეთო.

## ოსმალეთი

**აბდულ-ჰამიდის ავადმყოფობა.**

აბდულ-ჰამიდს ხელ-ახლად მოერია სიგიჟე: ნასულთნარი ამ დღეებში თავის საწოლის დაწვას შეეცადა და სწყევლიდა ახალგაზრდა ოსმალებს, ერთ-ერთ აფიცერს შეურაცხყოფა მიაყენა, ჰარამხანის დაბრუნება მოითხოვა და სხვა...

სტამბოლში ხმა გავრცელდა, რომ აბდულ ჰამიდი მოკვდაო, მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა. ტყუილი გამოდგა აგრეთვე ის ხმაც, ვითომ აბდულ-ჰამიდი სტამბოლში მოიყვანესო.

## შორეულ აღმოსავლეთი

**სახალინის ნახევარის გაყიდვა.**

იაპონური გაზეთები ირწმუნებიან, რომ რუსეთმა გადასწყვიტა სახალინის ჩრდილოეთი ნაწილი შეერთებულ შტატებს მიჰყიდოს. ეს პროექტი სულ მოკლე ხანში განხორციელდება. სახალინის ნახევრის მიყიდვიათ რუსეთს სწადიან შეერთებული შტატები უფრო დაინტერესოს შორეულ აღმოსავლეთის საქმეებით. იაპონიას იმედი აქვს რომ შემდეგში შეისყიდოს ნახევარს ამერიკელებისგან, ხოლო პირდაპირ რუსეთისგან სყიდვა მას უხერხულად მიაჩნია.

## სპარსეთი

**სესხის საქმე.**

თეირანში გაავრცელეს მოწოდება შეძლებულ სპარსელთადმი. მოწოდებაში წინადადება ეძლევა შეძლებულ ხალხს უოველწლიურ შემოსავლის მეასედი მეჯლისს ასესხოს, ვიდრე სპარსეთის მთავრობა ფულს იშოვის და ზურგს გაიმაგრებსო. ინგლისი და რუსეთი მეტად ცუდ პირობებით იძლევიან ფულსა. მათი პირობები რომ მივიღოთ, სპარსეთი დაიღუპება. მისი დამოუკიდებლობა მოისპობაო. ამ მოწოდებას დიდძალი ხალხი აწერს ხელსა.

მეჯლისმა საგანგებო კომისია აირჩია სესხის საქმეზე მოსალაპარაკებლად და გამოსარკვევად, მოხერხდება, თუ არა თვითონ სპარსეთში შინაგან სესხის აღება.

რამდენიმე ასმა ვაჭარმა საერთო პროტესტი გამოუცხადეს მეჯლისს უცხოეთში სესხის აღების წინააღმდეგ და თან დაუმატეს, თანახმა ვართ, როგორიც გინდათ დიდი გადასახადები შეგვიტანოთ. პატრიოტული გრძნობა მეტად გაძლიერდა სპარსეთის ხალხში, თვით ქალებშიაც-კი ეწევიან აგიტაციას შინაგან სესხის სასარგებლოდ.

**რახიმ-ხანის საქმე.**

სპარსეთის მთავარმა კონსულმა ტფილისიდან მოახსენა სპარსეთის მთავრობას, რომ კავკასიის ნამესტნიკმა გადაჭრილი უარი სთქვა რახიმ-ხანის გაცემაზეო. სპარსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ამის თაობაზე პროტესტის გამოცხადებას აპირებს.

## უცხოეთი

**ბრძოლა საარჩევნო უფლებისთვის პრუსიაში.**

„რუსკ. ვედომოსტი“-ს ატყობინებენ ბერლინიდან: „7 თებერვალს, კვირა დღეს კიდევ დიდი დემონსტრაციები გაიმართა მთელს პრუსიაში. პოლიცია უფრო რბილად იქცეოდა. ქალ. ბრესლავში სოციალ-დემოკრატებს ნება მისცეს დიდი კრება მოეხდინათ გარეთ, მოედანზე, სადაც ერთსა და იმავე დროს ხუთი ტრიბუნიდან ლაპარაკობდნენ ორატორები. ქალ. ბოხუმში პოლიცმეისტერმა გამოუცხადა მუშების მეთაურს, ოღონდ წინდაწინვე შეგვატყობინეთ, რომ დემონსტრაციის გამართვას აპირებთ და პოლიცია რბილად მოგექცევათო.

მაინის ფრანკფურტში-კი ისევ აღელვებულია ხალხი. იქ 7 თებერვალ ღამესაც ესროლეს პოლიციელებს. დამნაშავენი დაიმალნენ.

ლიბერალების კრებაზე ბერლინში დეპუტატმა ნაუმანმა მკაცრად გაჰკიცხა კანცლერი, რომელსაც ბეჯითად ერჩია ლიბერალებისთვის, პრუსიის საარჩევნო კანონ-პროექტს მხარი დაუჭირეთ, თქვენის პარტიისთვის სასარგებლო იქნებაო. კრების შემდეგ ლიბერალებმა დემონსტრატიულად სიმღერით გაიარეს ქუჩებში. დემონსტრანტები ხმა მაღლა მოითხოვდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას. პოლიციას ხელი არ შეუშლია ამ დემონსტრაციისთვის.

**უინსტონ ჩერჩილი.**

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრის ჰერბერტ გლადსტონის სამხრეთ-აფრიკის გენერალ-გუბერნატორად გაწესების გამო, ასკვიტმა ცვლილება მოახდინა თავის სამინისტროში. გლადსტონის ნაცვლად, ვაჭრობის მინისტრი უინსტონ ჩერჩილი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად. ჩერჩილი სულ ახალგაზრდა კაცია: 36 წლისაა, იგი შვილია განთქმულ მოღვაწის განსვენებულ რანდოლფ ჩერჩილისა, რომელიც 80 და მე-90 წლების დამდეგს დიდ როლს თამაშობდა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ერთ დროს გარეშე საქმეთა მინისტრად იყო მარკიზ სოლსბერის კონსერვატიულ სამინისტროში. უინსტონ ჩერჩილი დეპუტატთა პალატაში არჩევამდე, ინგლისურ გაზეთების სამხედრო კორესპონდენტად იყო და მკითხველ საზოგადოების ყურადღება მიიზიდა თავის შესანიშნავ ნიჭიერ კორესპონდენციებით. პირველად დეპუტატთა პალატაში იგი აირჩიეს 1900 წელს. პალატაში იგი თავის მამასავით უნიონისტების პარტიას მიემხრო და ებრძოდა ეხლანდელ თავის ამხანაგს ფინანსთა მინისტრს ლოიდ-ჯორჯს, რომელიც იმ დროს მედგრად მოითხოვდა სამხრეთ-აფრიკის ომის მოსპობას. 1904 წელს ჩერჩილი მიემხრო ლიბერალურ პარტიას და 1905 წლის გასულს დაინიშნა ახალშენების მინისტრის თანაშემწედ კემბელ-ბანერმანის ლიბერალურ სამინისტროში, 1907 წელს მიიღო ვაჭრობის მინისტრის თანამდებობა. უინსტონ ჩერჩილი მეტად ნიჭიერი, მხნე მოღვაწე და პირველხარისხოვანი ორატორი. წარსულ არჩევნების დროს იგი ლოიდ-ჯორჯთან ერთად გამჭრიახედ, დაუღალავად მოქმედებდა და დიდი სამსახურიც გაუწია ლიბერალურ პარტიას. პირველმა მინისტრმა ასკვიტმაც სწორედ ამ დიდ ამაგის დასაჯილდოვებლად დააწინაურა იგი და შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა.

—

**ბებელის 70 წლის იუბილეი.**

9 თებერვალს გერმანელ სოციალ-დემოკრატიის განთქმული მეთაური, ავგუსტ ბებელი 70 წლისა შესრულდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა და რადიკალურმა პრესამ ამ დღეს გულწრფელ თანაგრძნობით სავსე წერილები უძღვნა ბებელს და აღნიშნა მისი დიდი სამსახური გერმანიის წინაშე და მისი დიდი ღვაწლი მუშათა მოძრაობა და პარლამენტის ცხოვრებაში. ბებელმა ათასზე მეტი დეპეშა მიიღო ქვეყნიერობის ყოველ კუთხიდან, მეცნიერთა, მწერალთა და პოლიტიკოსთაგან. მისი სადგომი გაივსო გამოგზავნილ წითელ ვარდებით. თავის ამხანაგებისა და თაყვანის მცემელთაგან ბებელს დიდძალი ძვირფასი საჩუქარი მოუვიდა.

---

ლისა მხოლოდ მილეული მკრთალი გამონაძახი, მაგრამ იმითაც სჩანს, თუ რა დიდი ყოფილა იგი ნანა, რომელიც იმღერებოდა იმ აკვნის თავს! გაიარეს საუკუნოებმა და აქამდის კიდევ მოგვდის იგი გამონაძახი, მართალია ნამსხვრევილაა, მაგრამ მაინც ჩვენია და უყვარს აქაურ ქართველობას, ისევ ქართული ენით იბრუნებს იგი სულს, ქართულია მისი სასაიდუმლო ენა, მხიარულებაზე მღერის ამ ენით და მწუხარე ბედზე სტირის ამ ენით. სულეიმან ვეისმა გვიამბო, რომ იმ ორი დღის წინად ენახა ერთი მოხუცებული ოთხმოცი წლის კაცი, რომელიც წინად ხვანთქრის კარზე ყოფილიყო, მაგრამ ბედი არ შესწეოდა და ვერ დაწინაურებულიყო; გამოსულა და ამის გაჯავრებულს ლექსი გამოუთქვამს; თავის უბის წიგნში ჩაწერილი სულეიმან ვეისმა მე გადმომაწერინა:

მე მეგონა ბოვშვობიდან ვიყავ ამ საქმეში ხურო,
შენთან ყოვლიფერი წამიხდა ცული, ხერხი, ბურღი, ურო,
არც მომიშვი სანახავად, არცა გინდა გემსახურო,
სხვას უნახავ შაქრის ყინულს, ჩემდა მწარედ უგემურო!

როგორი გამოთქმულია, აბა ახლა ანალიზი გავუკეთოთ, დავინახავთ, რა გამოვა. დაუწერიათ, კაცი შვილია თავის ხალხისა და ეპოქისა და მაშ მთქმელიც არის მისი. ლექსი ერთზეა ნათქვამი, მაგრამ შიგ ისმის გოდება მრავალთა, იმ ერთი კაცის პირით მთელი ხალხი გიამბობს თავის თავგადასავალს. საბოლოოს მაძებარი კაცი სხვისა იმედოვნებაზე აშენებდა თავის ბედნიერებას, მაგრამ მწარე სინამდვილეზე გაჰქრა იგი აჩრდილი, ხოლო ეული ეულადვე დარჩა. და განა სხვისა იმედოვნება არ არის მთავარი ღერძი ჩვენის ცხოვრებისა, რომლის გარეშემო ვტრიალებთ მეორე საუკუნე, ერთგულად შევალიეთ მას მთელი ჩვენი ძალ-ღონე, წაგვიხდა ყოველი სახმარი და მაინც გული ვერავისი მოვიგეთ. ბოლოს ხალხი შეფიქრიანდა, შეეჭვდა და მისი პირიდან მარტოლა საყვედური ამოხდა თავის უგემურ მოყვასისადმი და ამ საყვედურზე შეჩერდა ჟამი სიბერისა; აწ ახალი გზა უნდა ვეძიოთ. შაქრის ყინული „მაროჟენოე“ გახლავს და შენც იცოდე, მანდ ძლიერ გამოგადგება, თუ მის ჭამას არ მოიშლიან, ეს ერთი ქართული ტერმინი მაინც ისწავლონ.

ენასთან შენახულა აგრეთვე ანბანი, ძველის ძველი ქართული ხელური. ამის მინაგვარი დღესაც შეგვხდება საქართველოში, ქალურ ხელს ეძახიან. აქაც უფრო დედა-კაცობაში ყოფილა დარჩენილი და დედიდან ქალიშვილზე გადადის: „მოდი, შვილო, გათხოვების დრო გაქვს და წერა-კითხვა გასწავლოო, ქმარს წიგნს მისწერავდეო“. ასოები ძლიერ მდაბიონი არიან და ხუცურიდან გამოყვანილსა ჰგვანან. ნიმუში მაქვს და იმასაც გამოგიგზავნი. ამ ანბანითა აქვთ ერთმანეთში მიწერ-მოწერა მახლობელ პირთა, აქეთ-იქით გაფანტულთა. ამავე ანბანით სწერს სულეიმან ვეისს მისი ცოლი ასო მეტმოსულად: „ბედუნიერადუ საგულებელო“, „სანახავადუ სანატრელო“ და სხვა.

შენი მეგობარი **ფარსმანი მაძევარი.**

ხტამბოლი.

(შემდეგი იქნება)


# განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ.-ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—53)

**12 თებერვალს,**
საარტისტო საზოგადოებაში, მოხუც არტისტთა სასარგებლოდ გამართულ საღამოზე

**დაიკარგა**

**მსხვილი მარგალიტის საყურე.**

მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს პოლკოვნიკ ბოლგარსკის ბინაზე, ნიკოლოზის ქ., № 83. საპოვნელი მიეცემა. (1—1038—1)

**ძმ. ავსარქისოვების ბაღი**

ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყნებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები. ადრესი: Ст. Скра. (З. К. Ж. Д.). Авсаркисову. მსურველებს კატალოგებს უფასოდ ეგზავნება. (15—1024—6)

**ვ. ყიფიანის დრამა**

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**ტ ა რ უ მ ო ვ ი ს ს ტ ა მ ბ ა ს თ ა ნ**

ტფილის'ში, ბარონსკისა და დიდი ვანქის ქუჩების კუთხეში,

**გავხსენით ქაღალდ-ტოპრაკების ქარხანა**

ა მ ფ ი რ მ ი თ:

**ამხანაგობა „ზვეზდა“,**

სადაც ვაზადებთ სხვა და სხვა ზომის ტოპრაკებს, როგორც უბრალოებს, ისე ნაკეციანს გარმონის მსგავს, შემკვეთელ ფირმის ბეჭდით ან უბეჭდოთ. მზადდება ელექტრონის მანქანით, რომელიც საზღვარ-გარეთიდან მივიღეთ.

შეკვეთილ საქმეს ვაკეთებთ ხელმისაწვდენ ფასად, სწრაფად, კარგად და სინიდისიერად. ტფილისს გარედ მცხოვრებთ ტოპრაკები გაეგზავნებათ ფასს-დადებით ბეს მიღების შემდეგ.

აქვე მიიღება ყოველგვარი სასტამბო საქმე.
ადრესი წერილებისთვის: Тифлисъ, фабрика бумажныхъ мѣшковъ, Т-во „Звѣзда“.
ტელეგრამებისთვის: Фабрика „Звѣзда“.
(6—147—2)

პატივისცემით ამ—ბა „ზვეზდა“.

**2 Руб въ годъ. | 1 Руб. на 1/2 г. | ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1910 г. (ГОДЪ ИЗДАНІЯ III-й). | 25 КОП. отдѣльн. книжка. во всѣхъ кн. маг. съ пересылкой 35 к.**

✱ НОВЫЙ ✱

# ЖУРНАЛЪ ДЛЯ ВСѢХЪ

**Преслѣдуя главнымъ образомъ культурныя задачи, журналъ широко ставитъ отдѣлы: 1) литературный, 2) критическій, 3) художествсннный, 4) общественый и 5) научно-популярный.**

**ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:**

**Отдѣлъ художественной литературы**—Леонидъ Андреевъ, М. Арцыбашевъ, Д. Айзманъ, Николай Архиповъ, И. Бунинъ, А. Блокъ, В. Башкинъ, А. Боане, В. Вересаевъ, А. Вербицкая, С. Гусевъ-Оренбургскій, О. Дымовъ, Борисъ Зайцевъ, А. Купринъ, А. Каменскій, Карменъ, В. Муйжель, Н. Олигеръ, И. Потапенко, А. Рославлевъ, А. Ремизовъ, А. Серафимовичъ, Скиталецъ, С. Сергѣевъ-Ценскій, А. Свирскій, гр. Ал. Н. Толстой, Н. Тимковскій, А. Өедоровъ, Танъ, Е. Чириковъ, Г. Чулковъ, Дм. Цензоръ, И. Щегловъ, Т. Щепкина-Куперникъ, С. Юшкевичъ и др.

**Отдѣлъ критическій**—Ю. Айхенвалдъ, Н. Абрамовичъ, Ө. Батющковъ, Л. Галичъ, С. Венгеровъ, А. Измайловъ, проф. Н. Котляревскій, проф. В. Сперанскій, проф. Д. Овсянико-Куликовскій, К. Чуковскій.

**Отдѣлы обществ.—политич. и научно—популярн.**—Б. Агафоновъ, П. Берлинъ, В. Брусянинъ, пр.-доц. П. Головачевъ, А. Дживилеговъ, проф. Н. Карѣевъ, Д. Кузминъ-Караваевъ, Н. Морозовъ, М. Лемке, проф. В. Святловскій, проф. Е. Тарле, проф. М. Туганъ-Барановскій, проф. И. Озеровъ, В. Филатовъ, М. Энгельгардтъ и др.

**Отдълъ исскуствъ**—А. Бенуа, И. Гинзбургъ, И Лазаревскій, С. Маковскій, В. Меерхольдъ, И. Репинъ, Н. Рерихъ, Н Эфросъ и др.

**Журалъ выходитъ ежемѣсячно, въ объемѣ до 9-ти обычн. печатн. листовъ (130—140 ст.) съ иллюстраціями въ текстѣ.**

**Годовые подписчики получаютъ безплатную премію Художественно исполненный альбомъ «Галлерея современныхъ писателей».**

**Подписная плата на годъ—2 р., 1/2 года—1 р. Заграницу—3 р. Цѣна отдѣльн. книжки въ мегаз. 25 к.** Пробный №—за пять 7 коп. марокъ.

**Подписная плата марками не принимается.**

Подписка принимается въ редакціи и во всѣхъ книжныхъ магазинахъ, въ послѣднемъ случаѣ приплачивается 15 коп. въ пользу магазиновъ: **Адресъ для переводовъ: Петербургъ, Свѣчной 16 „Нов. Журналу для всѣхъ“.**

(3—6.—2)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. ავლაძე.